ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

სსიპ საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ ორღულის საჯარო სკოლა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: **ნანა კაცაძე** (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი);

წევრები:

ქრისტინე ძიძიგური (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
ნანა ავაზაშვილი (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ნონა ხომასურიძე (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვალერიანე ვოლჩანსკი (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ნანა ჩხიკვაძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ნანა ყანჩაშვილი (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თეოდორა ლემონჯავა (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ნონა გორგილაძე (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი); კ)
დომინიკა აბაშიძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლელა მანგოშვილი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ ორღულის საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	239404015

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	საჩხერე
ფაქტობრივი მისამართი	საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელი ორღული
საფოსტო ინდექსი	4012
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	https://skolebi.emis.ge/schools/1061?schoolName=
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	Orhguli.mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	577316104

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	2026 წლის 28 იანვრის №83040 ბრძანება	
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	2026 წლის 23 და 24 მარტი	

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	სასწავლო მიზნებისთვის გამოსაყენებელი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების **ადგილი** (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის/ქუჩის და თითოეულ მისამართზე შენობა-ნაგებობების რაოდენობის მითითებით)
	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი საგანმანათლებლო საფეხური	ქართული	საჩხერის მუნიციპალიტეტი, სოფელი ზედა ორღული შენობა-ნაგებობება 1
	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო საგანმანათლებლო საფეხური	ქართული	საჩხერის მუნიციპალიტეტი, სოფელი ზედა ორღული შენობა-ნაგებობება 1

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.

2026 წლის 23 და 24 მარტს საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ ორღულის საჯარო სკოლაში განხორციელდა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი. საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ ორღულის საჯარო სკოლის შეფასების პროცესში ყველა ექსპერტი აქტიურად იყო ჩართული. დაწესებულებაში ვიზიტამდე ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა წარმოდგენილი დოკუმენტაცია, რის საფუძველზეც შედგა ვიზიტის დღის წესრიგი, რომელიც გასაცნობად გადაეგზავნა დაწესებულებას. ექსპერტების მიერ სკოლიდან შესაბამის ვადებში გამოთხოვილი იქნა დამატებითი დოკუმენტაცია, რომლის ნაწილი სკოლამ დროულად მოგვაწოდა, ნაწილი კი ადგილზე ვიზიტისას დაგვახვედრა. საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ ორღულის საჯარო სკოლაში *ვიზიტმა ჩაიარა კონსტრუქციულ, საქმიან და მშვიდ ვითარებაში, რომლის ფარგლებშიც ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო დაწესებულებაში მიმდინარე პროცესების შესაბამისობას*

ავტორიზაციის ოთხივე სტანდარტის მოთხოვნებთან მიმართებით. დაათვალიერა ინფრასტრუქტურა და გაესაუბრა, როგორც ***ადმინისტრაციულ პერსონალს****, ასევე სკოლის* ***მასწავლებლებს, მოსწავლეებს*** *(საბაზო საფეხური) და* ***მშობლებს*** *(დაწყებითი და საბაზო საფეხური). სასკოლო საზოგადოებას აქვს ინტერესი, რომ სკოლა გახდეს სამ საფეხურიანი. მშობლები განსაკუ:რებით არიან დაინტერესებული, რომ მათ შვილებს ქონდეთ საშუალება, ამავე სკოლაში გაიარონ საშუალო საფეხური, რადგან ენდობიან სკოლას, დირექციას, მასწავლებლებს და უსაფრთხოდ/დაცულად გრძნობენ თავს, როცა მათი შვილები სკოლაში არიან. ექსპერტებმა ადგილზე დათვალიერების საფუძველზე შეისწავლეს სკოლის მატერიალური რესურსიც.*
საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ ორღულის საჯარო სკოლის სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად აქვს შენობა *(სკოლამ წარმოადგინა ამონაწერი საჯარო რეესტრიდან) , რომელიც მდებარეობს სოფელ ზედა ორღულში. სკოლაში ორ საფეხურზე მმდინარეობს სწავლება (დაწყებითი და საბაზო) სკოლის შენობა დეტალურად იქნა შესწავლილი და შეფასებული ვიზიტის ფარგლებში.*

საგნობრივ ექსპერტებს ქონდათ საშუალება, ონლაინ რეჟიმში *გასაუბრებოდნენ შესაბამისი საგნის მასწავლებლებს და მოეპოვებინათ მათთვის საჭირო ინფორმაცია მეორე სტანდარტთან დაკავშირებით. საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივ ექსპერტს, ვიზიტის ფარგლებში მივაწოდეთ ფოტომასალა სკოლის ლაბარატორიების მდგომარეობის შესახებ და ამის შემდეგ გაესაუბრა საგნობრივი კათედრის წარმომადგენლებს.*

ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის პერიოდში, სკოლამ წარმოადგინა დოკუმენტაცია და განხორციელებული ქმედებების ნუსხა, რომელიც შესაბამისობის გეგმის მიხედვით იყო შესრულებული, სკოლას ექნება პანდუსი და ადაპრირებული სველი წერტილი აღნიშნული საკითხის მოგვარებას უმოკლეს ვადებში სკოლა გეგმავს სკოლის ბიუჯეტით.
ვიზიტი წარიმართა თანამშრომლობით გარემოში, დაწესებულებამ ხელი შეუწყო ექსპერტების საქმიანობის განხორციელებას და უზრუნველყო გარკვეული მტკიცებულებების წარმოდგენა. საგნობრივ ექსპერტებთან შეხვედრისას, ინტერვიუს დროს, დაწესებულების წარმომადგენლებმა განმარტეს ზოგიერთი საკითხი. დაწყებით საფეხურის კურიკულუმების რევიზიის პროცესში ჩართული იყო დაწყებით საფეხურის ექსპერტი. შესაბამის საგნობრივ ექსპერტებთან მჭიდრო თანამშრომლობის საფუძველზე მათი შეთანხმებით გაიცა რჩევები დაწყებითი საფეხურის მიმართულები.

ვიზიტის პერიოდში დაწესებულებამ გამოავლინა სრული მზაობა ავტორიზაციის პროცესთან დაკავშირებით. ავტორიზაციის გუნდს სკოლასთან შეთანხმებული გრაფიკის შესაბამისად, სკოლის მხრიდან მაქსიმალური მხარდაჭერა ჰქონდა, რომ სამუშაო პროცესი წარმართულიყო საქმეზე ორიენტირებულ გარემოში.
ვიზიტის ბოლოს ექსპერტებმა მიაწოდეს ინფორმაცია სკოლის წარმომადგენლებს იმ მიგნებების შესახებ, რომელიც ვიზიტის დროს გამოიკვეთა.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

სკოლა გამოირჩევა საინტერესო პროექტებით, რომელთა უმრავლესობა დაგეგმეს და განახორციელეს მოსწავლეთა თვითმმართველობამ. აღსანიშნავია **პროექტი „მწვანე გარემო და ბიზნესი“, რომლის მიზანია:**
მრავალწლოვანი მცენარეებისა და მარადმწვანე ხეების გამრავლება და რეალიზება საჩხერის მუნიციპალიტეტსა და დაინტერესების შემთხვევაში სხვა მუნიციპალიტეტებშიც; სკოლის ეზოსა და სოფლის მიმდებარე ტერიტორიების გამწვანება; მოზარდებში შრომის, ბიზნესის, აგრარული და გარემოსდაცვითი უნარების განვითარება და პოპულირება; საერთო საქმისადმი პასუხისმგებლობისა და ღირებულებების ამაღლება სასკოლო საზოგადოებაში. აღნიშნული პროექტის ფარგლებში გაყიდული ნერგებით მიშებული თანხით, მოსწავლეებმა სკოლისთვის საწირო საგანმანათლებლო რესურსები შეიძინეს. პროექტი პირდაპირ ეხმიანება ფინანსურ წიგნიერებას.

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება

	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.1	☒ შეესაბამება

მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒	აღწერა *(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)*
მოსწავლეთა რაოდენობა: **--------192------**	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	სკოლას სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობა **იყო 192 მოსწავლეზე.** აღნიშნულს ექსპერტთა ჯგუფი **ეთანხმება.** ინვენტარიზაციის კომისიის **2025 წლის 16 დეკემბრის ოქმის N2 საფუძველზე** და ადგილზე სკოლის მატერიალური რესურსის შესწავლის შედეგად გამოიკვეთა , რომ დაწესებულება **ფლობს 205 მოსწავლეზე გათვლილ ინვენტარს.**

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*ხარვეზი*

ინდიკატორი N		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*ხარვეზი*
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*ხარვეზი*
ინდიკატორი N		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (საბაზო საფეხური)	*ხარვეზი*

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)[1]

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		.....
ინდიკატორი N3.4.1.1	*სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც*	*ა) სკოლას **მიეცა რეკომენდაცია** უზრუნველყოს ვიდეო კამერების შეძენა შესაბამისობის გეგმით წარმოდგენილ*

1 გარდა მეორე სტანდარტის ნაწილობრივი შესაბამისობისა.

	არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა.	*ვადებში და დამონტაჟოს კამერები, სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვისა და ფიზიკური უსაფრთხოებისათვის.* *ბ)სკოლას* ***მიეცა რეკომენდაცია*** *შესაბამისობის გეგმაში მითითებული ვადით, წარმოადგინოს უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა.* *გ) სკოლას მიეცა რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმით წარმოდგენილ ვადებში წარადგინოს შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა.* *21.01.2026 - 21.01.2027*
3.5. კომპონენტ *3.5.4*	**მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა** *4. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;* *5. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას.*	*სკოლას მიეცა რეკომენდაცია დაამონტაჟოს პანდუსი დ მეორე სართულზე ამსვლელ ლიფტი. ასევე ადაპტირებულ სველი წერტილი. (მე-2 სართულზე)* *14.01.2026 – 14.01.2028*
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		
სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი სასკოლო კურიკულუმი საბაზო საფეხური	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*

ინდიკატორი N *N2.2.2.3*	სკოლა უზრუნველყოფს საგნობრივი კურიკულუმი განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისათვ საკმარისი რაოდენობის მატერიალურ რესურს მოსწავლეთა რაოდენობის გათვალისწინებით.	*სკოლას არ აქვს საბუნებისმეტყველო ლაბორატორიაში დამონტაჟებული სველი წერტილი და* ***გამწოვი კარადა.*** **სკოლას მიეცა რეკომენდაცია,შესაბამისობის** გეგმით განსაზღვრულ ვადაში უზრუნველყოს საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის მოწყობა, რომელის დააკმაყოფილებს უსაფრთხოებისა და საგანმანათლებლო სტანდარტებს. სასურველია **საბაზისო აღჭურვილობის შეძენა(ლაბორატორიული მაგიდები, ხელსაბანი, უსაფრთხოების საშუალებები, დახურული კარადები...)** რათა დაცული იქნას უსაფრთხოება, ჰიგიენა და პრაქტიკული მუშაობის პირობები.

V. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*რჩევა*
ინდიკატორი N1.1.1.2.	სკოლა მისიითა და ხედვი განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორ სასკოლო საზოგადოებისთვ უსაფრთხო და პიროვნუ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციი კულტურულ სივრცეს;	*სკოლას მიეცა რჩევა მისიასა და ხედვაში გათვალისწინებული იყოს საზოგადოების, თემის სპეციფიკა, ის გამოწვევები და ღირებულებები, რაც მის კულტურას აყალიბებს. მთავარი საკვანძო ორინტირები უკავშირდებოდეს სკოლის როლის გაცნობიერებას. ხედვა უნდა წარმოადგენს მისიის ნაბიჯ-ნაბიჯ რეალიზების გზას.*
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*რჩევა*

ინდიკატორი N3.4.1.1.	*სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში);*	<u>**სკოლას არ ჰყავს შრომის უსაფრთხოების კვალიფიკაციური სპეციალისტი. მიეცა რჩევა,**</u> უზრუნველყოს შრომის უსაფრთხოების კვალიფიციური სპეციალისტის მომსახურების მიღება შრომის უსაფრთხოების სისტემის დანერგვის მიზნით.
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*რჩევა*
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი დაწყებითი საფეხური	*რჩევა*

2.1.2	**კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს**	**დაწყებითი საფეხური.** **რჩევა:** სასურველია, კათედრამ კურიკულუმისთვის შეიმუშაოს ერთიანი ჩარჩო, რომელშიც მკაფიოდ იქნება წარმოჩენილი თითოეული სვეტის დანიშნულება; სწორად აისახოს ესგ-ს შესაბამისად გაწერილი სავალდებულო თემები, სტანდარტის შედეგები და დავალების იდეა. თემის ფარგლებში დამუშავდეს ყველა სამიზნე ცნება.
		სასურველია დაწყებითი საფეხურის **ბუნებისმეტყველებაში** III და IV კლასი კურიკულუმებში სავალდებულო თემები და სამიზნე ცნებები სტანდარტ შესაბამისად გაიწეროს.
ინდიკატორი 2.2.2.2	**კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში**	**დაწყებითი საფეხური.** სასურველია, კურიკულუმში გაიწეროს იმდენი დავალება, რამდენსაც რეალურად განახორციელებენ.
სტანდარტი N2	*სასკოლო კურიკულუმი* საბაზო საფეხური	*რჩევა*
2.1.1.1	**კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას**	**საზოგადოებრივი მეცნიერებები** **რჩევა**: საზოგადოებრივი მეცნიერებების ჯგუფში შემავალ ყველა საგნობრი კურიკულუმის შედგენის დროს პედაგოგებმა იხელმძღვანელონ ესგ ბოლო ვერსი და შესაბამისი საგნობრივი სტანდარტებით. განსაკუთრებული ყურადღება უნ გამახვილდეს კურიკულუმის ყველა კომპონენტის ლოგიკურ და თანმიმდევრუ კავშირზე — თემის, საკითხის, სამიზნე ცნებების, შედეგებისა და შემოქმედები დავალებების იდეების ურთიერთ შესაბამისობაზე.
2.1.2.3	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი,	**უცხო ენა:** **რჩევა:** სასურველია კათედრამ სასწავლო წლის დასაწყისში შეადგინოს ცალკე დოკუმენტად ან ცალკე სიით დამატებითი დამხმარე

	უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას	რესურსების ჩამონათვალი, რომელიც წარდგენილი იქნება კათედრის პირველ ოქმის დანართად და სკოლის/ ადმინისტრაციის სათანადო პირმა გამოიკვლიოს ამ რესურსების ვალიდობა / ან თავად კათედრამ დაადგინოს ამ რესურსების ვალიდობა.
	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას	**საზოგადოებრივი მეცნიერებები** **რჩევა:** საზოგადოებრივი მეცნიერებების ჯგუფში შემავალი საგნების საგნობრივ კურიკულუმებში, გრიფირებულ სახელმძღვანელოებთან ერთად, მკაფიოდ იყოს განსაზღვრული და მითითებული დამატებითი სასწავლო რესურსები (მაგ., ანიმაციები, „ტელესკოლის“ გაკვეთილები, საგანმანათლებლო ვიდეოები და სხვა), რაც გაამრავალფეროვნებს სასწავლო პროცესს და კიდევ უფრო შეუწყობს ხელს კურიკულუმით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.
ინდიკატორი 2.2.2.3.	სკოლა უზრუნველყოფს საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისათვის საკმარისი რაოდენობის მატერიალურ რესურსს, მოსწავლეთა რაოდენობის გათვალისწინებით	***ბუნებისმეტყველება*** *სკოლას მიეცა რჩევა მასწავლებლის ფასილიტაციით* *დაიგეგმოს მარტივი ექსპერიმენტები, რომლებიც სასწავლო პროცესში ჩვეულებრივ საშინაო პირობებშიც შეიძლება ჩაატარონ მოსწავლებმა. რადგან სკოლას აქვს შესაბამისი ნივთიერებები ცდების უსაფრთხოდ ჩასატარებლად აუცილებელია საბუნებისმეტყველო ლაბორატორიაში სველ წერტილთან ერთად იყოს* ***გამწოვი კარადაც.*** *სკოლის გარეთა სივრცე ძალიან კარგი საშუალებაა მარტივი კვლევების დასაგეგმად და განსახორციელებლად, რადგან სკოლა სოფელში, ტყის პირას მდებარეობს.*

სტანდარტი N2	*სასკოლო კურიკულუმი* *საგაზო საფეხური*	*რჩევა*
2.1.2.3	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას	**საზოგადოებრივი მეცნიერებები** **რჩევა:** საზოგადოებრივი მეცნიერებების ჯგუფში შემავალი საგნების საგნობრივ კურიკულუმებში, გრიფირებულ სახელმძღვანელოებთან ერთად, მკაფიოდ იყოს განსაზღვრული და მითითებული დამატებითი სასწავლო რესურსები (მაგ., ანიმაციები, „ტელესკოლის“ გაკვეთილები, საგანმანათლებლო ვიდეოები და სხვა), რაც გაამრავალფეროვნებს სასწავლო პროცესს და კიდევ უფრო შეუწყობს ხელს კურიკულუმით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.
2.1.2.4	სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს	**უცხო ენა** **რჩევა** საგაკვეთილო პროცესში გამოყენებული დიფერენცირებული დავალებები მატერიალური სახით შეინახონ და ამითი კათედრაზე შეიქმნება ე.წ. დავალებების ბანკი.
2.1.2.5	**მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს**	**სახელმწიფო ენა** **რჩევა:** სტანდარტით გათვალისწინებული მიღწევების ინდიკატორების საფუძველზე სრულად მომზადდეს შერჩეულ თემებთან ან/და საკითხებთან / ქვესაკითხებთან მიმართებით, სამიზნე ცნებაზე ორიენტირებული განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, იმ კონტექსტ-მაგალითებისათვის, რომლის ფარგლებშიც

		ხორციელდება შუალედური სასწავლო მიზანი (კომპლექსური /კომპლექსური ბუნების დავალებები ან/და სასწავლო პროექტები), აგრეთვე ყველა თემის ფარგლებში სრულად მომზადდეს ინდიკატორების საფუძველზე საკითხებთან და ქვესაკითხებთან მიმართებით განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები.
ინდიკატორი 2.2.2.3.	სკოლა უზრუნველყოფს საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისათვის საკმარისი რაოდენობის მატერიალურ რესურსს, მოსწავლეთა რაოდენობის გათვალისწინებით	***ბუნებისმეტყველება*** *სკოლას მიეცა რჩევა მასწავლებლის ფასილიტაციით* *დაიგეგმოს მარტივი ექსპერიმენტები, რომლებიც სასწავლო პროცესში ჩვეულებრივ საშინაო პირობებშიც შეიძლება ჩაატარონ მოსწავლებმა. რადგან სკოლას აქვს შესაბამისი ნივთიერებები ცდების უსაფრთხოდ ჩასატარებლად აუცილებელია საბუნებისმეტყველო ლაბორატორიაში სველ წერტილთან ერთად იყოს* ***გამწოვი კარადაც.*** *სკოლის გარეთა სივრცე ძალიან კარგი საშუალებაა მარტივი კვლევების დასაგეგმად და განსახორციელებლად, რადგან სკოლა სოფელში, ტყის პირას მდებარეობს.*

VI. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

სკოლამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია (წერილის N39114347), რომლითაც ის ***ეთანხმება*** *ექსპერტთა დასკვნის პროექტს.*

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს**
   სკოლის მისია და ხედვა სრულ შესაბამისობაშია ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებთან. დირექციამ წარმოადგინა 2022-2023 სასწავლო წლის ფარგლებში განხორციელებული საქმიანობის აღმწერი დოკუმენტაცია მისიის ხედვისა და ღირებულებების რევიზირების პროცესში: სკოლაში განხორციელებული გამოკითხვის ამსახველი დოკუმენტაცია და მათი ანალიზი, SWOT ანალიზი. მისიასა და ხედვაში მკაფიოდაა ასახული სკოლის მიერ შერჩეული და სასკოლო საზოგადოების მიერ გაზიარებული პრიორიტეტული მიმართულებები: მაღალკვალიფიციური სპეციალისტებით, უსაფრთხო და ხარისხიანი საგანმანათლებლო პროცესით უზრუნველვყოთ მოსწავლეებში 21-ე საუკუნის უნარ-ჩვევების განვითარება

2. **სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს**
   .სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს; იმისათვის რომ აღასრულონ მისიით მოცემული მთავარი პოსტულატები, სასკოლო საზოგადოება მაქსიმალური ძალისხმევით ცდილობს მოსწავლეთა თავისუფალი , სახემწიფოებრივი აზროვნებისა და ეროვნული ღირებულებებისადმი სწორი დამოკიდებულებების ჩამოყალიბებას. არაფორმალური განათლების დახმარებით სკოლაში ხდება ფორმალური განათლების ხელშეწყობა. სკოლაში ხორციელდება პროექტული მუშაობა, განსაკუთრებით საბაზო და საშუალო საფეხურზე. სკოლაში აქტიურად მუშაობს მოსწავლეთა თვითმმართველობა. კლასის დამრიგებლების ხელშეწყობით იმართება ღონისძიებები. სასკოლო საზოგადოების თითოეულ წევრს აქვს სკოლისადმი მიკუთვნებულობის განცდა, რაც გამოჩნდა ჩვენს მიერ ჩატარებულ გამოკითხვაში ნათლად გამოჩნდა. სასკოლო საზოგადოების წევრებთან ინტერვიუმ კიდევ ერთხელ დაგვიდასტურა სკოლის მიერ მისიის, ხედვისა და ღირებულებების უზრუნველყოფა. სკოლაში შექმნილია სასკოლო საზოგადოებისათვის უსაფრთხო გარემო: სკოლას ჰყავს უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი, დაცულია შენობისა თუ სახანძრო უსაფრთხოების ნორმები. სკოლას ჰყავს ექთანი, რომელიც საკუთარი საქმიანობით უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოებისათვის საჭირო და შესაბამისი დახმარების დროულად აღმოჩენას. ყოველივე ზემოთ

ხსენებული მოსწავლეს აძლევს შესაძლებლობას პიროვნული განვითარებისა. ამდენად, სკოლა საკუთარ სოციუმში ნამდვილად სარგებლობს ავტორიტეტით და წარმოადგენს სოციო-კულტურული სივრცეს ადგილობრივ თემში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით**

   სკოლამ ვიზიტის ფარგლებში წარმოადგინა მისიის, ხედვისა და ღირებულებები რევიზირებული ვერსია. ასევე სასკოლო საზოგადოების აზრის კვლევის დამადასტურებელი დოკუმენტები. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები ჩამოყალიბებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით სკოლის „სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის“ შესაბამისად: სკოლის დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული სტრატეგიული დაგეგმარების ჯგუფის მიერ შემუშავებული იქნა კითხვარები სასკოლო საზოგადოების გამოკითხვის მიზნით; სტრატეგიული დაგეგმარების ჯგუფმა გააანალიზა კითხვარებით მიღებული პასუხები და ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებზე დაყრდნობით შეიმუშავა სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები; კვლევაზე დაფუძნებით მოხდა წინა წლების გეგმის რევიზირება და ახალი 2026-2031 სტრატეგიული გეგმის შედგენა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

   4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავების პროცესში ხელმისაწვდომი იყო სრულიად სასკოლო საზოგადოებისათვის. დირექციასთან გასაუბრებისას ექსპერტებს მოგვეწოდა ინფორმაცია მშობლებთან ჩატარებული შეხვედრების შესახებ. შეხვედრებზე დადასტურდა სასკოლო საზოგადოების მიერ აღნიშნული დოკუმენტების განხილვა, ამდენად სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები სრულიად მისაღები და გაზიარებულია თითოეული წევრისათვის. საჭიროა აღნიშნოს ისიც, რომ ხშირ შემთხვევაში მშობლების ინტერესი დაბალია ამგვარი საკითხების მიმართ, თუმცა დირექციის მცდელობით თანამშრომლობითი ურთიერთობა შედგა და სასურველი შედეგიც გამოიღო. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი**

   .სკოლის მისია ხედვა და ღირებულებები განთავსებული ფოიეში, თვალსაჩინო ადგილას, ასევე , განთავსებული სკოლის ვებ გვერდზე, რაც ადასტურებს მის საჯაროდ ხელმისაწვდომობას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

6. **სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს**

   სსიპ საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ ორღულის საჯარო სკოლის სახელწოდება შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის **15 სექტემბრის №448 ბრძანებით** დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდებით“ განსაზღვრულ სტატუსსა და ტიპს., **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია 2024 წ;
2. საჯარო ინფორმაციის გაზიარების ელექტრონული მისამართები;
3. საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ ბრძანებაN 2-114(09.12.2025); 4. სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის შემუშავების ჯგუფის შექმნის ბრძანება N2-51(02.12.2025)
5. სკოლის ფილოსოფიის (მისია, ხედვა, ღირებულებები), სტრატეგიული დაგეგმვის და სკოლის განვითარების სამოქმედო გეგმის შემუშავებისათვის საჭირო ღონისძიებების განხორციელების მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმი №1(13.02.2025; ოქმი Ñ2 20.02.2025; ოქმი 3 - 03..09.2025;
6. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების ჯგუფის დამტკიცების შესახებÑ2-60(13.02.2025);
7. ცვლილებებით 2024-2031 სტრატეგიული გეგმა;
8. მისია, ხედვა და ღირებულებები;
9. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სსიპ-ად დაფუძნების შესახებ №448 ბრძანება;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს:

სკოლას დამტკიცებული აქვს „სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია“ (2024 წ.). მეთოდოლოგია ეფუძნება თანამონაწილეობით პრინციპს, რაც გულისხმობს სასკოლო საზოგადოების გამოკითხვის მონაცემების ანალიზს, მიმდინარე პროცესების შეფასებასა და SWOT ანალიზს. სწორედ ამ მექანიზმების გამოყენებით

გამოიკვეთა სკოლის ძლიერი და სუსტი მხარეები, საფრთხეები და შესაძლებლობები, რის საფუძველზეც ჩამოყალიბდა სკოლის პრიორიტეტები.

2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს:

სკოლის 2024-2031 წლების სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი და სრულად ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვასა და ღირებულებებს. გეგმაში გაწერილია 6 სტრატეგიული მიზანი (სწავლა-სწავლების ხარისხი, პერსონალის განვითარება, მატერიალური ბაზა, უსაფრთხო გარემო, საზოგადოების ჩართულობა და ფუნქციური უნარები), რომლებიც თავის მხრივ ეფუძნება კონკრეტულ ამოცანებს. ციკლურობა უზრუნველყოფილია იმით, რომ ახალ გეგმაზე მუშაობა იწყება მოქმედი გეგმის ვადის გასვლამდე 6 თვით ადრე, ხოლო ცვლილებები ხორციელდება დასაბუთებული საჭიროების საფუძველზე.

3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას:

შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმის შესაბამისად, ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში სკოლა შეიმუშავებს ერთწლიან სამოქმედო გეგმას. სკოლამ წარმოადგინა **სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა (2025-2026 სასწ. წელი);** დოკუმენტის მომზადებისას მხედველობაში მიიღეს წინა სასწავლო წლის მონიტორინგის ჯგუფის ანგარიშები და ყოველწლიური თვითშეფასების შედეგები, რაც უზრუნველყოფს გეგმის რელევანტურობას მიმდინარე საჭიროებებთან.

4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია:

სკოლის სამოქმედო გეგმა წარმოადგენს სტრატეგიული მიზნების რეალიზების მექანიზმს. სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა (2025-2026 სასწ. წელი) მოიცავს ყველა სავალდებულო პუნქტს: ამოცანებს, კონკრეტულ აქტივობებს, პასუხისმგებელ პირებს, შესრულების პერიოდებს, რესურსებსა და გაზომვად ინდიკატორებს/მტკიცებულებებს. გეგმაში გაწერილი რესურსები და ვადები შეფასებულია როგორც რეალისტური და სკოლის შესაძლებლობებთან თანხვედრილი.

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია (2024 წ.);
2. სკოლის 2024-2031 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმა;
3. სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა (2025-2026 სასწ. წელი);
4. სამეურვეო საბჭოს ოქმი №2 (04.09.2025) - სტრატეგიული გეგმის დამტკიცებაზე;
5. სამეურვეო საბჭოს ოქმი №3 (10.09.2025) - სამოქმედო გეგმის დამტკიცებაზე;
6. დირექტორის ბრძანება №2-101 (03.11.2025) - მონიტორინგის ჯგუფის შექმნის შესახებ;

7. სტრატეგიული ჯგუფის ოქმი №4 (09.09.2025) - სტრატეგიულ გეგმაში ცვლილებების შესახებ.

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს:**

სკოლის მიერ 2024 წელს შემუშავებულ „სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიაში“ მკაფიოდაა გაწერილი მონიტორინგისა და შეფასების სისტემა. დოკუმენტი განსაზღვრავს პასუხისმგებელ პირებს, პროცესის პერიოდულობასა და იმ კონკრეტულ ინსტრუმენტებს, რომლებითაც ხდება გეგმების შესრულების კონტროლი. მეთოდოლოგია ასევე ითვალისწინებს ანგარიშების მომზადების წესს და მათ ხელმისაწვდომობას სასკოლო საზოგადოებისათვის.

2. **მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით:**

სკოლა ახორციელებს გეგმების სისტემურ მონიტორინგს არსებული მეთოდოლოგიის საფუძველზე. ამას ადასტურებს წარმოდგენილი 2024-2025 სასწავლო წლის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების დეტალური ანგარიში. მონიტორინგის პროცესში გათვალისწინებულია დაინტერესებული მხარეების უკუკავშირი, რაც დასტურდება მშობლებთან შეხვედრების ოქმებითა და ფოტომასალით. სკოლას გააზრებული აქვს უკუკავშირის მნიშვნელობა პრევენციული ღონისძიებების დაგეგმვისას.

3. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა:**

სკოლა უზრუნველყოფს ანგარიშგების საჯაროობას. წარმოდგენილია ინფორმაცია საჯარო მონაცემების გაზიარების ელექტრონულ მისამართებზე, რაც ხელმისაწვდომს ხდის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების ანგარიშებს სასკოლო საზოგადოებისათვის. სკოლა გამოხატავს მზაობას, დადგენილ ვადებში რეგულარულად გამოაქვეყნოს შესრულების ანგარიშები სკოლის ოფიციალურ ვებგვერდზე.

4. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის:**

მონიტორინგის ჯგუფის მიერ მომზადებული ანალიზი და დასკვნები პირდაპირ გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისათვის. ანგარიშები განიხილება პედაგოგიურ (ოქმი №5, 08.09.2025) და სამეურვეო საბჭოებზე. მონიტორინგის

შედეგად გამოკვეთილი საჭიროებები ხდება საფუძველი სტრატეგიულ გეგმაში ცვლილებების შესატანად, რასაც სტრატეგიული დაგეგმარების ჯგუფი წარუდგენს სამეურვეო საბჭოს დასამტკიცებლად.

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია (2024 წ.);
2. ინფორმაცია საჯარო მონაცემების გაზიარების ელექტრონულ მისამართებზე;
3. პედაგოგიური საბჭოს ოქმი №4 (25.06.2025) – სამოქმედო გეგმის მონიტორინგზე;
4. ბრძანება №2-60 (13.02.2025) – სტრატეგიული დაგეგმარების ჯგუფის დამტკიცების შესახებ;
5. მონიტორინგის ჯგუფის ოქმი №1 (24.06.2025) და 2024-2025 სასწ. წლის სამოქმედო გეგმის მონიტორინგის ანგარიში;
6. პედაგოგიური საბჭოს ოქმი №5 (08.09.2025) – გეგმების შესრულების ანალიზზე;
7. მშობლებთან შეხვედრების ამსახველი ფოტომასალა და ოქმები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული**

საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ ორღულის საჯარო სკოლამ წარმოადგინა თანამშრომელთა და სტრუქტურული ერთეულების ფუნქციების დოკუმენტი **(ბრძანება 2-127, 26.12.2025)**, სადაც განსაზღვრულია სკოლაში დასაქმებულთა თანამდებობები და თანამდებობრივი ინსტრუქციები. დაწესებულებაში დასაქმებულია: დირექტორი, დირექტორის მოადგილე, ბუღალტერი, საქმისმწარმოებელი, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი, ექთანი, ბიბლიოთეკარი, დამლაგებელი(2), დარაჯი(2), სპეციალური მასწავლებელი(1), სპეციალური მასწავლებლის ასისტენტები(2), მასწავლებელთა გუნდი (19). აღნიშნული პირების ფუნქციები მკაფიოდ არის გაწერილი. ასევე, შემუშავებულია დაწესებულების სტრუქტურის ორგანიგრამა, რომელიც ნათლად წარმოაჩენს სკოლაში დასაქმებული პირებისა და სტრუქტურული ერთეულების ურთიერთმიმართებას და იერარქიას.

სკოლაში ფუნქციონირებს კანონმდებლობით განსაზღვრული სტრუქტურული ერთეულები: დირექცია, სამეურვეო საბჭო, პედაგოგიური საბჭო, მრჩეველთა საბჭო, მოსწავლეთა თვითმმართველობა, დისციპლინური კომიტეტი, საგნობრივი კათედრები. წარმოდგენილია მათი საქმიანობის დებულებები. <u>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**</u>

2. **სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას**

სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას. აღნიშნული ინდიკატორის დაკმაყოფილების წინაპირობაა სკოლის მიერ წარმოდგენილი თანამშრომელთა და სტრუქტურული ერთეულების ფუნქციების დოკუმენტში, რომელშიც გაწერილია პერსონალის ფუნქცია-მოვალეობები. სკოლაში მიმდინარე პროცესების განხორციელებას ხელს უწყობს სტრუქტურული ერთეულების დებულებები და ისეთი მარეგულირებელი დოკუმენტები, როგორებიცაა სკოლის შინაგანაწესი, ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა, სასკოლო სასწავლო გეგმა და სხვა. <u>დაწესებულებაში შეინიშნება ერთიანი მიზნისთვის გუნდური და შეთანხმებული მუშაობა, მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესების მუდმივი დაგეგმვა და განხორციელება, რაც დასტურდება არა მარტო საგაკვეთილო პროცესის ეფექტური წარმართვით, არამედ მოსწავლეთათვის მრავალფეროვანი არაფორმალური აქტივობებისა და პროექტების შეთავაზებით.</u> **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა;
- სტრუქტურული ერთეულების ფუნქციების დოკუმენტი;
- შინაგანაწესი;
- შრომითი ხელშეკრულებები;

- თანამშრომელთა პირადი საქმეები;
- eSchool-ის ბაზიდან ჩამოტვირთული თანამშრომლების სია.

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად**

საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ ორღულის საჯარო სკოლამ წარმოადგინა ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა და თანამშრომელთა და სტრუქტურული ერთეულების ფუნქციების დოკუმენტი **(ბრძანება 2-127, 26.12.2025)**, რომელშიც ადმინისტრაციული, პედაგოგიური და დამხმარე თანამდებობების სპეციფიკის გათვალისწინებით შემუშავებულია შესაბამისი სამუშაო აღწერილობა. აღნიშნულ დოკუმენტებში გაწერილი რეგულაციები შესაბამისობაშია კანონმდებლობასთან და, ასევე, განსაზღვრავს დაწესებულების მისიის შესაბამისი საგანმანათლებლო პროცესის განხორციელებისათვის საჭირო პერსონალის მოზიდვის, შერჩევის, ინტეგრაციისა და განვითარების პრინციპებს. დაწესებულებაში დასაქმებულ პირებთან გაფორმებულია ხელშეკრულება, რომელიც მოიცავს ხელშეკრულებისათვის არსებით პირობებს და დასაქმებულის ფუნქცია-მოვალეობებს, რომლის ხელის მოწერითაც პირი ადასტურებს თავის თანხმობას და იმ პასუხისმგებლობის თავის თავზე აღებას, რაც შესაბამისი სამუშაო აღწერილობით მისი თანამდებობისთვის არის გათვალისწინებული. სკოლის თანამშრომლების მართვა ხორციელდება კანონმდებლობის შესაბამისად: საქართველოს შრომის კოდექსით აღიარებული უფლებებისა და რეგულაციების დაცვით, მასწავლებლის/სპეციალური მასწავლებლის შერჩევის, ხელშეკრულების დადებისა და გაწყვეტის დროს სკოლა ხელმძღვანელობს ,,მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის დამტკიცების შესახებ'' საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს №174/ნ ბრძანების, ,,ინკლუზიური განათლების დანერგვის, განვითარებისა და მონიტორინგის წესების, აგრეთვე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა იდენტიფიკაციის მექანიზმის დამტკიცების თაობაზე'' საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2018 წლის 21 თებერვლის N16/ნ ბრძანების და სხვა მოთხოვნათა გათვალისწინებით. დასაქმებულთა უფლება-მოვალეობები და ვალდებულებები რეგულირდება თანამშრომელთა ფუნქცია-მოვალეობებისა და ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტით, სკოლასა და დასაქმებულს შორის გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებისა და შინაგანაწესის მიხედვით და მოიცავს ინფორმაციას დასაქმებულთა სამუშაო პირობების, შრომის ანაზღაურების, წახალისების/ დისციპლინური დევნისა და სხვა საკითხების შესახებ. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა

სკოლა ზრუნავს როგორც არსებული კადრების შენარჩუნებასა და განვითარებაზე, ისე, საჭიროებისამებრ, ახალი კვალიფიციური კადრების მოზიდვაზე. სკოლისთვის პრიორიტეტულია არსებული კადრების შენარჩუნება, ვინაიდან მაღალია მათი კვალიფიკაცია, გამოცდილება და ერთგულება სკოლის მიმართ.

პედაგოგიური, ადმინისტრაციული თუ ტექნიკური პერსონალის დროებით ჩანაცვლების აუცილებლობის შემთხვევაში, სკოლა ახდენს მყისიერ რეაგირებას, რის გამოც სასკოლო პროცესის შეფერხება არ ხდება. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით

დაწესებულებაში პერსონალის და მასწავლებლების შერჩევა მიმდინარეობს კანონმდებლობის დაცვით, კონკურსის საფუძველზე. კონკურსის გამოცხადებამდე, შესაბამისი თანამდებობის სამუშაო აღწერილობის გათვალისწინებით, წინასწარ განისაზღვრება კანდიდატისთვის წაყენებული აუცილებელი მოთხოვნები, ასევე წარმოსადგენი დოკუმენტაცია/ინფორმაცია. საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ ორღულის საჯარო სკოლაში მასწავლებელთა დასაქმება ხორციელდება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 20 აგვისტოს N174/ნ ბრძანების შესაბამისად. დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს საკონკურსო პროცესის განხორციელებასთან დაკავშირებული მტკიცებულებები (ვაკანსიის განაცხადები შესაბამის პორტალზე, კონკურსის ოქმები, დირექტორის ბრძანებები, მაგალითად, ექთნის დასაქმებასთან დაკავშირებით).პერსონალის პირადი საქმეები მოწესრიგებულია - საქაღალდეებში წარმოდგენილია ყველა საჭირო დოკუმენტაცია. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს

ამონაწერით განათლების მართვის საინფორმაციო ბაზიდან დასტურდება, რომ დაწესებულებაში დასაქმებულ 8 პედაგოგს აქვს წამყვანი მასწავლებლის სტატუსი, ხოლო 11 პედაგოგს - უფროსი მასწავლებლის სტატუსი - მათ შორის ერთი არის სპეციალური მასწავლებელი და ორი სპეციალური მასწავლებლის ასისტენტი.

სკოლაში დასაქმებულია ადმინისტრაციული და ტექნიკური პერსონალი: დირექტორი, დირექტორის მოადგილე, საქმისმწარმოებელი, ბუღალტერი, ბიბლიოთეკარი, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის მენეჯერი, ექთანი, 2 დარაჯი, 2 დამლაგებელი.

თანამშრომელთა კვალიფიკაცია, რომელთა საკვალიფიკაციო მოთხოვნები განსაზღვრულია სსიპ საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ ორღულის საჯარო სკოლის თანამშრომელთა და სტრუქტურული ერთეულების ფუნქციების დოკუმენტში **(ბრძანება 2-127, 26.12.2025)**, შეესაბამება აღნიშნულ მოთხოვნებს. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს

სკოლის ორგანიზაციული კულტურით გათვალისწინებულია სკოლის ყველა თანამშრომლის ჩართულობა და გუნდური მუშაობის პრინციპი. ყველა ღონისძიება თუ აქტივობა სკოლაში ეფუძნება სკოლის თანამშრომელთა და პერსონალთა ჩართულობას. სკოლას აქვს თანამშრომლობითი მუშაობის და აზრთა გაზიარებით ეფექტური მუშაობის გამოცდილება. სკოლის სტრუქტურული რგოლები ერთმანეთთან შეთანხმებულად მოქმედებენ, ამის მაგალითია მრჩეველთა საბჭოს, სამეურვეო საბჭოს და პედაგოგიური საბჭოს კოორდინირებული, შეთანხმებული მუშაობა. სკოლისთვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღების პროცესში აქტიურად არის ჩართული სამეურვეო საბჭო, მოსწავლეთა თვითმმართველობა. სკოლის პედაგოგიურ და სამეურვეო საბჭოებს, საგნობრივ კათედრებს, მრჩეველთა საბჭოს აქვთ სასწავლო წლის დასაწყისში განსაზღვრული სამუშაო გეგმა, რომლის შესაბამისადაც იკრიბებიან და განიხილავენ საკითხებს. გადაწყვეტილებების მიღება ხდება კენჭისყრის საფუძველზე.

ადამიანური რესურსების მართვის მარეგულირებელ დოკუმენტებში დიდი ადგილი ეთმობა ახალი თანამშრომლის ადაპტაციის, პერსონალის სოციალიზაციის, მმართველობით პროცესში ჩართვისა და მოტივაციის მექანიზმებს. ორგანიზაციაში დაფასებულია ერთმანეთის მოსმენა, გამოთქმული აზრის პატივისცემა, აქტიური კომუნიკაცია კოლეგებთან, ურთიერთ-სწავლება და გამოცდილების გაზიარება.

სკოლაში დამკვიდრებული ფასეულობები გაზიარებულია არა მარტო ინდივიდების ურთიერთმიმართების დონეზე, არამედ სკოლაში არსებულ სტრუქტურულ ერთეულებს შორის და დირექტორის ბრძანებით შექმნილ ჯგუფებს შორის, რომლებიც მუშაობენ კოლეგიურობის პრინციპით. სკოლა აღნიშნულს ხელს უწყობს ინფრასტრუქტურული მხარდაჭერით, კერძოდ, თანამშრომლები შეუზღუდავად სარგებლობენ სასკოლო მიზნებისთვის სკოლის საერთო სარგებლობის სივრცეებითა და მატერიალური რესურსებით, ბიბლიოთეკით, სამასწავლებლოთი და სხვა რესურსებით. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი

სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი; სკოლის დათვალიერებისას დადგინდა, რომ შენობაში თვალსაჩინო ადგილას არის განთავსებული თანამშრომლებისა თუ მოსწავლეების განსაკუთრებული მიღწევების შესახებ ინფორმაცია, გამოფენილია განხორციელებული პროექტებისა და აქტივობების შედეგად შექმნილი პროდუქტი და ვიზუალური მასალა, არაერთი პოსტერი და პლაკატი.

სკოლისთვის მნიშვნელოვანია, რომ მისი წარმატებები იყოს აღიარებული და სასკოლო საზოგადოებასა და თემს შორის გაზიარებული.

სკოლას ბევრი ასეთი გამოცდილება აქვს. მაგალითად, მიმდინარეობს ინტეგრირებული გაკვეთილების ჩატარება, გაკვეთილებზე დასწრება და ერთმანეთის გამოცდილების გაზიარება. სკოლაში ბევრი პროექტები ხორციელდება. მოსწავლეთა თვითმმართველობის მიერ შექმნილია არაერთი კლუბი. მაგ. „წიგნიერები“, „ასფურეცელა“, „კალიგრაფები“ და „STEAM კლუბი“. წლების განმავლობაში, რესურსცენტრის მიერ ჩამოყალიბებულ სასკოლო ქსელის ფარგლებში დაწესებულება სტუმრობს და მასპინძლობს მეგობარ სკოლებს, საუკეთესო პრაქტიკისა და გამოცდილების გაზიარების მიზნით. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ადამიანური რესურსის მართვის პოლიტიკა;
- სტრუქტურული ერთეულების ფუნქციების დოკუმენტი;
- შინაგანაწესი;
- შრომითი ხელშეკრულებები;
- კონკურსის მასალები;
- თანამშრომელთა პირადი საქმეები;
- eSchool-ის ბაზიდან ჩამოტვირთული თანამშრომლების სია.
- კლუბების დებულებები;

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები**

1. შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მიზნით, დაწესებულების პრაქტიკაა საგაკვეთილო პროცესზე დასწრება და დაკვირვება, სამუშაო შეხვედრების მოწყობა, გამოკითხვის ჩატარება, ინდივიდუალური საუბრების განხორციელება, თვითშეფასება, ურთიერთშეფასება, სასწავლო ჯგუფებში გაწევრიანება, მონიტორინგის ფორმები. აგრეთვე, სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი, რომელშიც ასახულია პროფესიული განვითარების და შეფასების მექანიზმები. მაგ:

- პროფესიული განვითარების მოთხოვნების იდენტიფიცირება სამუშაოს კატეგორიის, ცალკეული ფუნქციის, თანამდებობრივი მოთხოვნებისა და ინდივიდუალური საჭიროებების ანალიზის საფუძველზე;
- გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად სხვადასხვა ღონისძიების შერჩევა/დაგეგმვა;
- შესაბამისი კანდიდატების შერჩევა;
- მასწავლებელთა პროფესიული უნარ-ჩვევებისა და ცოდნის რეგულარული შეფასება.

ამ მეთოდების გამოყენებით ხდება საჭიროებების დადგენა, რომელთა საპასუხოდაც იგეგმება შესაბამისი განმავითარებელი ღონისძიებები. <u>ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.</u>

2. **პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად**

სკოლის წარმომადგენლის განცხადებით, პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე; მასწავლებლებს უტარდებათ შესაბამისი ტრენინგები/ვორქშოფები, რომლებსაც უზრუნველყოფს შიდა სასკოლო ადამიანური რესურსებით, ასევე, მასწავლებლები საჭიროების შემთხვევაში თავადაც გეგმავენ ინდივიდუალურად წარმატებული სპეციალისტების მოსმენას/გამოცდილების გაზიარებას. დამკვიდრებული პრაქტიკაა მასწავლებლებს შორის გამოცდილების გაზიარება და ,,კრიტიკული მეგობრის'' ინსტიტუტის ფუნქციონირება. სკოლის დირექტორმა ინტერვიუს დროს აღნიშნა, რომ აღნიშნული საკითხის კვლევა სკოლაში არ ჩატარებულა, თუმცა საჭიროებების დადგენა, ხდება მოსწავლეთა და მშობელთა გამოკითხვებით, ინტერვიუებით როგორც პირისპირ, ისე დისტანციურად სხვადასხვა საკომუნიკაციო საშუალებებით. <u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

3. **სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას**

ვინაიდან დაწესებულების ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი სწორედ პერსონალის განვითარებაა, სკოლის დირექცია აქტიურად უწყობს ხელს პედაგოგებისა და თანამშრომლების კარიერულ ზრდას. მასწავლებელთა უმრავლესობა არის წამყვანი და უფროსი სტატუსის მქონე პედაგოგი. სკოლის მასწავლებლებს აქვთ სრული მხარდაჭერა პროფესიული თუ კარიერული განვითარების გზაზე, რაც გამოიხატება მატერიალური რესურსის ხელმისაწვდომობაში, კრიტიკული მეგობრის ინსტიტუტის დანერგვაში, რეგულარული სამუშაო შეხვედრებისა და სასწავლო ჯგუფების ორგანიზებაში, შემოქმედებითი და პროექტული სწავლების ხელშეწყობაში. კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, სკოლა ხელს უწყობს ადმინისტრაციულ და ტექნიკურ პერსონალს, დაესწრონ სხვადასხვა ტრენინგ-სემინარს და პროფესიულ კურსებს.

პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მიზნით ორღულის საჯარო სკოლის დირექტორმა გაიარა სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ დაგეგმილი ტრენინგ-მოდულები: სკოლის განვითარების სტრატეგიული და სამოქმედო გეგმა; სასკოლო სასწავლო გეგმა და კურიკულუმი; ხარისხის მართვის მექანიზმები.

პედაგოგები სისტემატიურად ეცნობიან სწავლების ახალ მიდგომებს/ მეთოდებს და ნერგავენ საგაკვეთილო პროცესში. მასწავლებელთა მიერ პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა მიმართულია სწავლა- სწავლების უფრო მეტად სრულყოფაზე, გამრავალფეროვნებასა და ინფორმაციულობაზე. აღნიშნული გადამზადება ხელს უწყობს სკოლის პერსონალის კარიერულ ზრდას. **<u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>**

4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან

სკოლაში არის პედაგოგთა და თანამშრომელთა მცირეკონტიგენტიანი, თუმცა ძალზე შეკრული და პატივისცემაზე ორიენტირებული გუნდი, რომელიც წლების განმავლობაში მუშაობს ერთად. უნდა აღინიშნოს, რომ დაწესებულებაში არ არის ახალი კადრის დასაქმების მაღალი მაჩვენებელი, რაც განპირობებულია გეოგრაფიულ არეალში კადრებისა და მოსწავლეების სიმცირით, მიგრაციითა და სხვა ფაქტორებით. <u>მეორეს მხრივ, სკოლაში არც არის კადრების გადინებისა და შემოდინების საჭიროება, ვინაიდან, არსებული კადრი მუდმივ განვითარებაზე და გაუმჯობესებაზეა ორიენტირებული.</u>

სხვა მხრივ, სკოლაში დამკვიდრებულია ურთიერთთანამშრომლობის, ურთიერთდახმარების, ურთიერთდასწრების და გამოცდილების გაზიარების პრაქტიკა. სკოლის ადაპტაციის წესის მიხედვით განსაზღვრული მიდგომები კი დაეხმარება ახალ თანამშრომელს თავი იგრძნოს სკოლის ღირებულ გუნდის წევრად და არ შეექმნას სამუშაოსთან ინტეგრაციის პრობლემა. **<u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>**

5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები

სკოლის საუკეთესო პრაქტიკად შეგვიძლია მივიჩნიოთ არაერთი ინიციატივა, პროექტი, რომელშიც სკოლა, სკოლის პერსონალი და აღსაზრდელები არიან ჩართულნი. სკოლა მაქსიმალურად უჭერს მხარს თანამშრომელთა ინიციატივების განხორციელებას. საინტერესო

იდეები და წამოწყებები იკვეთება პერსონალის საჭიროების კვლევის შედეგად ან ზეპირსიტყვიერად, პერსონალის მხრიდან. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა;
- სტრუქტურული ერთეულების ფუნქციების დოკუმენტი;
- შინაგანაწესი;
- განხორციელებული პროგრამების დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- ხარისხის განვითარებისა და მხარდაჭერის ჯგუფის სამუშაო დოკუმენტაცია.

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესების მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს**

დაწესებულებაში საგანმანათლებლო პროცესი მიმდინარეობს სასკოლო სასწავლო გეგმის მიხედვით, რომელიც ეფუძნება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებსა და ეროვნულ სასწავლო გეგმას. სკოლას შემუშავებული აქვს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი, რომლის მიზანია სკოლის მისიის განხორციელება და ემსახურება სკოლის სტრატეგიული მიზნებისა და შესაბამისი ამოცანების შესრულებას, სწავლების ხარისხის მონიტორინგს და მის მუდმივი სრულყოფას, აკადემიური და მატერიალური პოტენციალის ეფექტურად გამოყენების და მათი განვითარების ხელშეწყობას. სკოლას აგრეთვე ბრძანებით დამტკიცებული აქვს „ხარისხის განვითარებისა და მასწავლებელთა მხარდაჭერის ჯგუფის“ დებულება (**ბრძანება 2-47, 20.11.2023**). დებულების თანახმად ჯგუფის მიზანია:

ა) სკოლაში სწავლების ხარისხის ამაღლებაზე ზრუნვა;
ბ) მასწავლებლის შეფასების ობიექტური სისტემის დანერგვით მასწავლებლის პროფესიული განვითარება და ხელშეწყობა;
გ) სკოლაში თანამშრომლობითი კულტურის დამკვიდრება.
დ) სკოლის მასწავლებლებისათვის პროფესიულ განვითარებაში დახმარება;

ამ პროცესის ნათელი მაგალითია, ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის წევრების მუშაობა, რომლებიც დასწრებისა და დაკვირვების საფუძველზე, მასწავლებლებს აძლევენ რჩევებს, აფასებენ მათ განმავითარებელი შეფასებით, ამოწმებენ რამდენად იქნა გათვალისწინებული გაცემული რეკომენდაციები და საჭიროების შემთხვევაში, იღებენ დამატებით ზომებს როგორებიცაა ტრენინგებში ჩართვა, დამატებითი მუშაობა კათედრებზე, გამოცდილების გაზიარება, ურთიერთდასწრება და სხვა.

სკოლა ხარისხის მართვის პროცესში მნიშვნელოვნად მიიჩნევს როგორც კანონმდებლობის შესაბამისად, ასევე სხვადასხვა შიდა მარეგულირებელი დოკუმენტებით პროცესების მართვას, როგორიცაა ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა, მოსწავლის ადაპტაციის წესი, სკოლაში ჩარიცხვის, სტატუსის შეჩერების და სხვა წესები. ყოველივე აღნიშნულით ემსახურება სკოლაში მიმდინარე ძირითადი პროცესების შეუფერხებლად განხორციელებას. სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე მუშაობენ საგნობრივი კათედრები, რომლებიც ქმნიან სასკოლო კურიკულუმებს და მათზე დაყრდნობით წარმართავენ სასწავლო პროცესს. აღნიშნული მიმართულებით ხარისხის გაუმჯობესების მიზნით სკოლა გეგმავს სხვადასხვა ტიპის აქტივობას. . <u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

2. **იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები**

დაწესებულებაში იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები; სკოლაში საგანმანათლებლო პროცესის მართვა ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, შემუშავებული შიდა სასკოლო დოკუმენტების მიხედვით. საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული პროცესები აღწერილია სასკოლო სასწავლო გეგმის კონცეპტუალურ ნაწილში, სკოლის შინაგანაწესში, საქმისწარმოების წესში, სკოლის სტრუქტურისა და სტრუქტურული ერთეულების დებულებებში, სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებში. პროცესების მართვისა და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები განსაზღვრულია ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტში. ხარისხის უზრუნველყოფის

კონკრეტული პასუხისმგებლობები, რომლებიც ეკისრება პერსონალის ცალკეულ წევრებს, აღწერილია მათ ფუნქციებში. თანამშრომლებს გააზრებული აქვთ საკუთარი ფუნქცია-მოვალეობები და ისიც, თუ რა როლი ეკისრებათ სკოლისათვის მნიშვნელოვანი მმართველობითი პროცესების განხორციელებაში. გაცნობიერებულია, რომ სასწავლო პროცესის ყოველდღიური მართვა, სწავლა-სწავლების ხარისხის ამაღლება და შენარჩუნება, მოსწავლეებზე ზრუნვა არის სკოლისათვის უმთავრესი მიზანი. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა

სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრებისა და საჩივრების განხილვის სისტემა. სკოლას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესი. სკოლის მიერ დამტკიცებული საჩივრისა და განცხადების განხილვის წესით განსაზღვრულია მოსწავლეთა, თანამშრომელთა და მშობელთა მიერ საჩივრის წარდგენის წესი, განხილვის პროცედურები და სხვა დეტალები. მოსწავლეებს, მშობლებსა და სკოლის ყველა თანამშრომლებს უფლება აქვთ, თავიანთი უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად გაასაჩივრონ უკანონო და სხვა არამართლზომიერი ქმედებები. სკოლაში საჩივრების განმხილველი ორგანოა სამეურვეო საბჭო. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები

სკოლის თანამშრომლები, მოსწავლეები და მშობლები/კანონიერი წარმომადგენლები სკოლაში სარგებლობენ თანაბარი პირობებით, დისკრიმინაციის გარეშე, დადგენილი წესით. სასკოლო საზოგადოების წევრები სასკოლო დროს ან/და სკოლის ტერიტორიაზე, სარგებლობენ თავიანთი უფლებითა და თავისუფლებით, აგრეთვე სკოლის ყველა რესურსით. თანამშრომელთა და სკოლის უფლებები და ვალდებულებები გაწერილია თანამშრომლებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში. მოსწავლის და მშობლის უფლებები და ვალდებულებები გაწერილია მშობელსა და სკოლას შორის გაფორმებულ ხელშეკრულებებში.

პერსონალის და მოსწავლეთა კანონიერი უფლებების დაცვისთვის სკოლას შემუშავებული აქვს შინაგანაწესი, რომელშიც ამომწურავადაა გაწერილი დისციპლინური გადაცდომების ნუსხა და დისციპლინური პასუხისმგებლობის სახეები.

დამრიგებლები მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან აწყობენ საინფორმაციო ხასიათის შეხვედრებს მოსწავლეთა უფლებებისა და წესების გაცნობის მიზნით. თანამშრომელთა უფლებებისა და ვალდებულებების გაცნობა ხორციელდება ხელშეკრულების პირობების გაცნობით, სკოლის შინაგანაწესისა და თანამდებობრივი ინსტრუქციების გაცნობით დირექციის მიერ ორგანიზებულ შეხვედრებზე. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა;
- 2025-2026 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა;
- დამრიგებლის მუშაობის დებულება/მუშაობის წესი;
- შინაგანაწესი;
- განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესი;
- მშობელსა და სკოლას შორის გაფორმებული ხელშეკრულება;

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები**

დაწესებულება აქტიურად წაახალისებს სასკოლო საზოგადოების ჩართვას სასკოლო პროცესებში. ამისთვის სკოლა ორგანიზებას უწევს მშობელთა კრებებს, სამუშაო შეხვედრებს, გამოკითხვებს, კომუნიკაციას სხვადასხვა ციფრული არხების საშუალებით (ჯგუფები სოციალურ ქსელში, ონლაინ პლატფორმები). კანონმდებლობის ფარგლებში გათვალისწინებული სტრუქტურული ერთეულებისა და თანამდებობრივი პირების მონაწილეობით იქმნება სკოლის საქმიანობის განმსაზღვრელი დოკუმენტები. სასკოლო საზოგადოების ეფექტურად ჩართვის მიზნით, დაწესებულებას შემუშავებული აქვს საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის წესი; <u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

2. **უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა**

დაწესებულების სტრუქტურულ ერთეულებში (სამეურვეო საბჭო, პედაგოგიური საბჭო, მოსწავლეთა თვითმმართველობა, დისციპლინური კომიტეტი, მრჩეველთა საბჭო) მოსწავლის, მშობლის და მასწავლებლის წევრობა, უზრუნველყოფს მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღებაში სასკოლო საზოგადოების მონაწილეობის შესაძლებლობას.

ამ მიზნით, სკოლის მართვის კოლეგიური ორგანოები დაკომპლექტებული სასკოლო საზოგადოების წევრებით. კერძოდ: სამეურვეო საბჭოს შემადგენლობაში შედიან თითოეული საფეხურის მშობლები და მოსწავლეთა თვითმმართველობის მიერ არჩეული ერთი წარმომადგენელი.

პედაგოგიურ საბჭოში შედიან საგნის მასწავლებლები და სპეციალური მასწავლებელი და სპეციალური მასწავლებლის ასისტენტები. პედაგოგიური საბჭო იღებს ისეთ მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს, როგორიცაა სასკოლო სასწავლო გეგმის დამტკიცება და მასში ცვლილების შეტანა, თავისი წარმომადგენლის არჩევა დისციპლინურ კომიტეტსა და სამეურვეო საბჭოში და სხვა.

საგნობრივ კათედრებში გაერთიანებულები არიან მასწავლებლები საგნების მიხედვით. კათედრები ირჩევენ სახელმძღვანელოებს, კათედრის წევრები ესწრებიან ერთმანეთს გაკვეთილებზე, ახორციელებენ სხვადასხვა შემოქმედებითი ხასიათის მქონე დავალებების ანალიზს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- დამრიგებლის მუშაობის დებულება;
- მშობლებთან შეხვედრის აქტები;
- მოსწავლეთა თვითმმართველობის ოქმები;
- საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის წესი;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა**

ფიზიკური უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, სოფელ ორღულის საჯარო სკოლის შენობის შემოსასვლელი კონტროლდება დარაჯების მიერ. მიმდინარეობს ვიზიტორთა აღრიცხვა. სკოლას ბრძანებით ჰყავს განსაზღვრული საჯარო სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე უზრუნველყოფილი პირი, რომელიც ზედამხედველობს ფიზიკური და საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვას. სკოლას უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული აქვს საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა.

სკოლის შენობაში არ არის განთავსებულია ვიდეო-მეთვალყურეობის სისტემა.
სკოლას არ წარმოუდგენია წერილობითი დასტური შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ, თუმცა წარმოადგინა წერილი (MES 1 26 0000285201, 09.03.2026), რომელიც გაგზავნილია ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში, რათა დადგინდეს შენობის ტექნიკური მდგომარეობა და გაიცეს შესაბამისი დასკვნა.

2020 წლის 31 მარტის N 205 სახანძრო-ტექნიკური შემოწმების და გამოკვლევის აქტის შესაბამისად დადგინდა, რომ სსიპ საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ ორღულის საჯარო სკოლის შენობის ხანძარსაწინააღმდეგო მდგომარეობა **არ შეესაბამება** სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების მარეგულირებელ ნორმებს. აქტს თან ერთვის შესაბამისობის მიზნით განსახორციელებელი სამუშაოების ჩამონათვალი. აღნიშნული სამუშაოების შესრულების მიზნით, დაწესებულებამ მიმართა სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს.
ზემოთ აღნიშნულთან დაკავშირებით სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა. გეგმის თანახმად სამუშაობის შესრულების ბოლო ვადად განისაზღვრა 21.01.2027.

სკოლას არ ჰყავს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, შრომის უსაფრთხოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად. შესაბამისად, **სკოლას მიეცა რჩევა,** უზრუნველყოს შრომის უსაფრთხოების კვალიფიციური სპეციალისტის მომსახურების მიღება შრომის უსაფრთხოების სისტემის დანერგვის მიზნით. **ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას

დაწესებულების პირველ სართულზე განთავსებულია სამედიცინო კაბინეტი და დასაქმებულია ექთანი, რომელიც მომსახურებას უწევს სკოლის მოსწავლეებსა და დასაქმებულებს. სკოლამ teacherjobs.ge-ზე გამოაცხადა ვაკანსია სკოლაში ექიმის მიღების თაობაზე. მიუხედავად ამისა, სკოლაში აღნიშნულ ვაკანტურ პოზიციაზე ექიმის კვალიფიკაციის მქონე პირის განაცხადი არ შემოსულა. აღნიშნულ პოზიციაზე განაცხადი გამოაგზავნა კვალიფიკაციით ექთანმა, რომელსაც ჰქონდა შესაბამისი სამედიცინო განათლება. სკოლამ მიიღო აღნიშნული განაცხადი, გაიარა სკოლის მიერ შემუშავებული წესები სამსახურში მიღების თაობაზე და აღნიშნულ პოზიციაზე დასაქმდა ექთანი.

დათვალიერებით დადგინდა, რომ კაბინეტი აღჭურვილია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2022 წლის 21 მარტის No41/ნ/01-23/ნ ერთობლივი ბრძანებით დამტკიცებული საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების/სკოლების სამედიცინო პერსონალის საქმიანობის სტანდარტისა და საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში/სკოლებში სამედიცინო მომსახურების სივრცის (კაბინეტი/პუნქტი) ფუნქციონირების წესის შესაბამისად. ასევე, აღსანიშნავია, რომ სკოლის ექთანს მოწესრიგებული აქვს ყველა საჭირო დოკუმენტაცია და აწარმოებს მედიკამენტების აღრიცხვას. გარდა ამისა, იგი გეგმიურად მართავს საინფორმაციო ხასიათის შეხვედრებს სკოლის მოსწავლეებთან და მშობლებთან. შეხვედრებზე განიხილება თემები მოტეხილობის, ჭრილობების და იმ დაზიანებების შესახებ, რომლებიც შესაძლოა განუვითარდეს სასკოლო საზოგადოების წევრებს სკოლაში გაკვეთილების მიმდინარეობის დროს. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას

დაწესებულებას განსაზღვრული ჰყავს საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვაზე უფლებამოსილი პირი, რომელიც უზრუნველყოფს წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვას. ამ მიმართულებით, ასევე აქტიურად არიან ჩართულნი საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის წარმომადგენლები, კლასის დამრიგებლები, დირექტორის მოადგილე და დირექტორი. სკოლაში საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა და ამ მიმართულებით მოსწავლეთა ცნობიერების ამაღლება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანაა, რომელზეც სისტემატურად მუშაობენ კლასის დამრიგებლები სადამრიგებლო საათზე. სკოლაში ფუნქციონირებს მრჩეველთა საბჭო, რომელიც განიხილავს სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასთან დაკავშირებულ საკითხებს და შესაბამის რეკომენდაციებს წარუდგენს დირექტორს. მრჩეველთა საბჭოს ოქმებითა და სადამრიგებლო პროგრამებით დასტურდება, რომ სკოლა აწარმოებს მოსწავლეებისთვის საგანმანათლებლო-საინფორმაციო კამპანიას ძალადობის, დისკრიმინაციის, ბულინგისა და კიბერ-ბულინგის წინააღმდეგ, ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციასთან დაკავშირებით.

გარდა ამისა, დაწესებულების ძლიერი მხარეა საკლუბო მუშაობა. სამოქალაქო და საზოგადოებრივი საკითხების ირგვლივ, სკოლას განხორციელებული აქვს არაერთი საინტერსო პროექტი და აქტივობა. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4. **სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს**

N 3 ინდიკატორის აღწერიდან გამომდინარე, სკოლაში უზრუნველყოფილია ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემო. სკოლის წარმომადგენლების განცხადებით, ჯანსაღი სასკოლო კლიმატი არის მოსწავლეთა მაღალი აკადემიური მოსწრების საწინდარი, რისთვისაც დაწესებულებაში არა ერთი შეხვედრა, სემინარი, სამსჯელო საკითხების განხილვა მოეწყო.
ზოგადად, დირექტორისა და პედაგოგების განცხადებით, როგორც პერსონალი ისე მოსწავლეები ერთი სასოფლო თემიდან არიან, ხშირ შემთხვევაში აქვთ ნათესაური ან კეთილმეზობლური/მეგობრული ურთიერთობა, რაც ასევე გრძელდება სასკოლო გარემოში. ამ ფაქტორიდან გამომდინარე, სკოლაში თითქმის არასდროს იქმნება კონფლიქტური და არასახარბიელო ატმოსფერო. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

5. **სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას**

სკოლაში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური პირობები. სკოლაში დასაქმებულია 2 დამლაგებელი, თუმცა სასკოლო საზოგადოების წევრები აქტიურად არიან ჩართულნი სკოლაში სისუფთავისა და წესრიგის შენარჩუნებაში.

სკოლაში თვალშისაცემია სისუფთავე, მოვლილი დერეფნები და საკლასო ოთახები. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

6. **სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას**

სკოლას დამტკიცებული აქვს პერსონალური მონაცემების დაცვის მექანიზმები, რომელშიც დაკონკრეტებულია თუ რა სახის მონაცემები მუშავდება კონკრეტულ პოზიციაზე დასაქმებული პირების მიერ. პერსონალური მონაცემების დაცვა სკოლის მხრიდან გააზრებულია როგორც ადამიანის უფლებათა დაცვის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს კომპონენტი. სკოლა იცავს როგორც მოსწავლისა და მისი მშობლის/მეურვის, ასევე - სკოლაში დასაქმებული მასწავლებლის, ადმინისტრაციისა და დამხმარე პერსონალის პერსონალური ინფორმაციას.
სკოლას ჰყავს პერსონალური მონაცემების დაცვის ოფიცერი. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

7. **სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები**

სკოლის ადმინისტრაციასთან გასაუბრებით დადგინდა, რომ სკოლა უზრუნველყოფს მის ხელთ არსებული მონაცემების დაცვას შემთხვევითი ან უკანონო განადგურების, მოპოვების, გამჟღავნების, დაკარგვის და ნებისმიერი სხვა ფორმით უკანონო გამოყენებისგან, ასევე იცავს ელექტრონული ინფორმაციის არა ავტორიზებული მომხმარებლის მიერ წვდომისა და დაზიანებისგან. კომპიუტერებში ჩაწერილია ანტივირუსული პროგრამები. ადმინისტრაციის სამუშაო კომპიუტერებს, სადაც ინახება პერსონალური მონაცემების შემცველი ინფორმაციები, ადევს პაროლი, რომლის გამოყენებაც შეუძლია მხოლოდ იმ თანამშრომელს, რომლის სამუშაოდაც არის განკუთვნილი. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

8. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის

ინფორმაციის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი ითვალისწინებს საკითხებს, რომლის მიხედვით სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- 2020 წლის 31 იანვრის N 205 სახანძრო-ტექნიკური შემოწმების და გამოკვლევის აქტი;
- მიმართვა სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს ხანძარსაწინააღმდეგო სამუშაოების შესრულების ნებართვის მიზნით;
- ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში გაგზავნილი წერილი (MES 1 26 0000285201, 09.03.2026);
- შესაბამისობის გეგმა;
- უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები;
- შინაგანაწესი;
- საგანგებო შტაბის შექმნის ბრძანება;
- სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესი;
- ოქმი, ექთნის სამსახურში მიღების თაობაზე;
- საზოგადოებრივი წესრიგის და უსაფრთხოების დაცვაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის ბრძანება;

- მრჩეველთა საბჭოს ოქმები;
- პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმები;
- მშობელთან გაფორმებული ხელშეკრულება;
- სადამრიგებლო პროგრამები.

შეფასება:

○ გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

○ შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**

საჯარო რეესტრის 05.12.2020 წლის ამონაწერით, სსიპ საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ ორღულის საჯარო სკოლის დაზუსტებული ფართობია 7150.00 კვ.მ. არსებულ მიწის ნაკვეთზე საკადასტრო გეგმა-ნახაზის მიხედვით განლაგებულია 4 შენობა. სკოლის შენობა, შესაბამისი მიწის ფართით სახელმწიფო საკუთრებაა და სკოლას სარგებლობაში გადაეცა არსებობის ვადით, კანონმდებლობით დადგენილი წესის მიხედვით. ამჟამად ტერიტორიაზე 4 შენობაა. ესენია სასწავლო კორპუსი, საქვაბე, საპირფარეშო, რომელიც ფუნქციონირებს და სამნეო შენობა. სკოლის შენობა ორსართულიანია. სასწავლო პროცესი ერთ ცვლაში მიმდინარეობს. ამ ეტაპისთვის Eschool-ის მონაცემებით სკოლაში სწავლობს 110 მოსწავლე. საკლასო ოთახები აღჭურვილია მოსწავლეთა რაოდენობის და საფეხურის შესაბამისი მერხებით, სკამებით, მასწავლებლის მაგიდით, სკამით, დაფითა და კარადით. კანონმდებლობის შესაბამისად შექმნილი კომისიის მიერ

ყოველწლიურად ტარდება ფინანსური და მატერიალური რესურსების ინვენტარიზაცია. სკოლის ბიუჯეტში გათვალისწინებულია მატერიალური რესურსების შესაძენად საჭირო თანხა. ამჟამად, სკოლას აქვს 12 პერსონალური კომპიუტერი, 31 ლეპტოპი, 5 პრინტერი და 1 პროექტორი. სკოლის შენობაში არის სივრცე, სადაც შესაბამისი ტექნიკა ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოებისათვის.

დაწესებულების **პირველ სართულზე** განთავსებულია საკლასო ოთახები, სპორტული დარბაზი, სველი წერტილები, სამედიცინო კაბინეტი, რესურს ოთახი, სასადილო ოთახი; **მეორე სართულზე** განთავსებულია დირექტორის კაბინეტი, სამასწავლებლო, საქმის მწარმოებლის ოთახი, **საბუნებისმეტყველო ლაბორატორია, სადაც არ არის დასამონტაჟებელია სპეციალური გამწოვი კაბინა**. აგრეთვე, საკლასო ოთახები, ბიბლიოთეკა, კომპიუტერული ლაბორატორია, სხვადახვა ინვენტარის სათავსო ოთახი და სველი წერტილი; **სკოლას არაა აქვს სააქტო დარბაზი. სკოლის შესასვლელი და შიდა სივრცე არ არის ადაპტირებული. აღნიშნულ საკითხებთან მიმართებით სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა.** <u>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**</u>

2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის

სკოლის შენობა რეაბილიტირებულია. საკლასო ოთახები აღჭურვილია საჭირო რაოდენობის მერხებით, დაფებით. საკლასო ოთახებს აქვს ბუნებრივი განათება. სკოლაში არის ბიბლიოთეკა, რომელიც მოიცავს სასკოლო სახელმძღვანელოებს, აგრეთვე თანამედროვე, ილუსტრირებულ, მხატვრულ, შემეცნებით და სამეცნიერო ლიტერატურას. სკოლაში არის საბუნებისმეტყველო ლაბორატორია. სკოლას აქვს კომპიუტერული ლაბორატორია, რომელიც უზრუნველყოფილია ინტერნეტით. სკოლაში არის სამედიცინო კაბინეტი, ღია მოედანი და დახურული სპორტული დარბაზი. <u>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**</u>

3. სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით

სკოლის მატერიალური რესურსი აკმაყოფილებს სასკოლო კურიკულუმით განსაზღვრულ მოთხოვნებს. ბიბლიოთეკაში არის გრიფმინიჭებული სასკოლო სახელმძღვანელოები, ასევე დამატებითი საგანმანათლებლო რესურსები სასწავლო შემეცნებითი წიგნების/რუკების სახით. ბიბლიოთეკაში ინახება მშობლიური და საზღვარგარეთის ლიტერატურა, ენციკლოპედიები, პერიოდული გამოცემები და მეთოდური ლიტერატურა მასწავლებლებისთვის. ოთახში გამოკრულია ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი. არსებობს წიგნების გაცემისა და აღწერის ჟურნალი. ბიბლიოთეკაში წიგნები აღრიცხულია როგორც მატერიალურად, აგრეთვე ელექტრონულადაც. <u>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**</u>

4. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს

სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლისათვის ინკლუზიურ გარემოს. სკოლას აქვს მატერიალური რესურსებით აღჭურვილი რესურს ოთახი. **სკოლის შესასვლელი და შიდა სივრცე არ არის ადაპტირებული. აღნიშნულთან დაკავშირებით სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც სამუშაობის შესრულების ბოლო ვადა 14.01.2028 განსაზღვრა. <u>ინდიკატორის მოთხოვნა ნაწილობრივ დაკმაყოფილებულია.</u>**

5. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას

სკოლას მნიშვნელოვნად მიაჩნია მოსწავლეებისათვის სკოლაში იყოს სოციალიზაციისათვის შესაფერისი გარემო და ინფრასტრუქტურა, რომელიც მოემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას. სკოლაში სოციალიზაციას ხელს უწყობს დერეფნისა და საკლასო ოთახების კედლებზე გამოკრული მოსწავლეთა ნამუშევრები, საკლასო/სასკოლო პროექტების ამსახველი მასალები და მოსწავლეების ხელით შექმნილი სხვადასხვა სახის თვალსაჩინოებები. სკოლის პირველ სართულზე გამოფენილია სპორტულ შეჯიბრებებში მიღწეული წარმატებისთვის გადაცემული ჯილდოები და სიგელები. სპორტული ღონისძიებებისათვის სკოლა იყენებს როგორც ღია, აგრეთვე დახურულ სპორტულ მოედნებს. ღონისძიებები ასახულია სოციალურ ქსელ facebook-ის გვერდზე.

სკოლის ფართობი მაქსიმალურად ეფექტურად არის გამოყენებული. სოციო-კულტურული და სასწავლო-შემეცნებითი აქტივობებისთვის, სკოლა იყენებს სპორტულ დარბაზს, ბიბლიოთეკას, კომპიუტერულ ლაბორატორიას, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კაბინეტებს. საკლუბო მუშაობისთვის სკოლამ გამოყო ფუნქციური სივრცეები პირველი სართულზე და სკოლის ეზოში. სკოლის მოსწავლეებს ეძლევათ შესაძლებლობა დასვენებებზე, საგაკვეთილო პროცესის შემდგომ აღნიშნულ სივრცეებში მოაწყონ შეხვედრები, ისაუბრონ სამომავლო გეგმებზე, იმუშაონ ახალ პროექტებზე, იმსჯელონ და განვითარდნენ სრულფასოვან პიროვნებებად. **<u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;
- საკადასტრო ნახაზი;
- ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი;
- ინვენტარიზაციის კომისიის ბრძანება;
- ინვენტარიზაციის ოქმი;
- facebook-ის გვერდი;
- ვიზუალური დათვალიერება;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☒ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას**

დაწესებულებაში არსებობს ყველა საშუალება იმისათვის, რომ ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენება წახალისებული იყოს აკადემიურ და ადმინისტრაციულ პროცესში.

სკოლის დირექცია და ადმინისტრაცია უზრუნველყოფილია საჭირო კომპიუტერული ტექნიკით, პრინტერით, სკანერისა და ქსეროქსის აპარატით. **სკოლას არ აქვს ძლიერი დაფარვის Wifi-ის აპარატი, რათა საკლასო ოთახებში შეუფერხებლად იყოს ინტერნეტთან წვდომა. გამომდინარე აქედან, სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა და 14.01.2027 წლისათვის სრულად აღმოფხვრის აღნიშნულ შეუსაბამობას.**

დაწესებულებაში არის კომპიუტერული კაბინეტი და კომპიუტერული ლაბორატორია, რომელიც კომპიუტერების გარდა აღჭურვილია პროექტორით და პრინტერით.

დაწესებულების წარმომადგენლების მოსაზრებით, სკოლაში ინტერნეტის ხელმისაწვდომობა და კომპიუტერიზაცია ამაღლებს მოსწავლეთა მოტივაციას, საშუალებას აძლევს მათ ინფორმაციის პასიური მიმღებნი კი არ იყვნენ, არამედ თავად მოახდინონ სასწავლო შინაარსის მოდიფიცირება და შექმნა. უვითარებს მათ ინფორმაციის მოძიების, დამუშავებისა და შეფასების, კომუნიკაციის და თანამშრომლობის

უნარებს; სხვადასხვა ტიპის მრავალფეროვანი მეთოდური და სასწავლო ელექტრონული რესურსების ხელმისაწვდომობას. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად**

საგანმანათლებლო მიზნებისთვის სკოლა უზრუნველყოფს სკოლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის, მათ შორის ელექტრონული რესურსების, თანაბარ ხელმისაწვდომობას სკოლის მოსწავლეებისა და თანამშრომლებისთვის. სკოლას დამტკიცებული აქვს მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესები, რაც უზრუნველყოფს ინფორმაციული ტექნოლოგიების ხელმისაწვდომობას სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ინვენტარიზაციის დოკუმენტაცია;
- მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი;

3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი**

სსიპ საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ ორღულის საჯარო სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმიანობის წესი. კერძოდ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2012 წლის N951 ბრძანებით დამტკიცებული ,,საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში და მის სისტემაში შემავალ ორგანოებში ელექტრონული დოკუმენტბრუნვის და ელექტრონული ხელმოწერის სისტემის გამოყენების წესის'' შესაბამისად, სკოლას დამტკიცებული აქვს საქმისწარმოების ერთიანი წესი. აღნიშნული წესი განსაზღვრავს სკოლაში საქმისწარმოების ორგანიზების სისტემას, ადგენს დოკუმენტებსა და მოქალაქეთა განცხადებებზე, წერილებზე მუშაობის წესს, რომელიც ერთნაირად ვრცელდება ნებისმიერ თანამშრომელსა და თუ მოქალაქეზე.

სკოლა უზრუნველყოფს ნებისმიერი სახის დოკუმენტაციის სწორად, დროულად მომზადებას, გაფორმებას, აღრიცხვას, გამოყენებას და შენახვას. სკოლის საქმისწარმოება მიმდინარეობს შემდეგი სახის დოკუმენტაციაზე, როგორც ელექტრონული ასევე მატერიალური სახით: შემოსული დოკუმენტაცია; გასული დოკუმენტაცია; შიდა დოკუმენტაცია; საქმისწარმოების პროცესში გამოყენებული ბრძანებების სარეგისტრაციო ჟურნალი ორი ფორმისაა: ელექტრონული და მატერიალური, ხოლო შემოსული დოკუმენტაცია, მხოლოდ ელექტრონული. საქმისწარმოებასთან დაკავშირებულ საქმიანობას სკოლაში ახორციელებს საქმისმწარმოებელი. **<u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>**

2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა

სკოლა სარგებლობს ერთიანი ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემით - Eflow, სადაც ხდება საქმისწარმოების წესით განსაზღვრული დოკუმენტების - ბრძანებების, წერილების, სამსახურეობრივი ბარათების და სხვ. - რეგისტრაცია. სკოლა ასევე სარგებლობს eSchool.emis.ge ბაზით და თიმსის პორტალით. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში

სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში; სკოლის საინფორმაციო ბარათში შეყვანილია ინფორმაცია: მისამართი, იურიდიული სტატუსი, საგანმანათლებლო სტატუსი, საიდენტიფიკაციო კოდი, სკოლის საკონტაქტო ინფორმაცია და სკოლის საბანკო რეკვიზიტები. სკოლების მართვის საინფორმაციო სისტემა eschool-ში შეყვანილია სკოლის ყველა თანამშრომლის, მოსწავლისა და მშობლის მონაცემები, რომლებიც განახლებადია. დაწესებულება სისტემაში ახორციელებს განრიგის შექმნას (გაკვეთილების ცხრილი სემესტრის მიხედვით) საგნების განაწილებას, კლასების შექმნას, ლიმიტების მითითებას. დირექტორის შესაბამისი ბრძანების საფუძველზე, სისტემაში აისახება მოსწავლეთა მობილობა/სტატუსის ცვლილება, კლასის/დონის დაძლევა. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან

სკოლა ეფექტურად თანამშრომლობს საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებთან. დაწესებულება მათ აწვდის შესაბამის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას. სკოლის მაკონტროლებელი ორგანო არის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო. სამინისტროსა და სკოლას შორის შუალედური რგოლია რესურსცენტრი, რომლის დახმარებითაც ურთიერთობენ სამინისტროსთან. სკოლა მუდმივად ცდილობს შემოსულ წერილებში მოთხოვნილი ინფორმაცია საჭირო დროის დაცვით გადაეგზავნოს

ადრესატებს. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებლ უწყებებთან ანგარიშებისა სკოლა ურთიერთობს სხვადსხვა უწყებასთან.

სკოლის დირექტორი ყოველი წლის 10 დეკემბერს საკანონმდებლო მაცნეში აქვეყნებს და საქართველოს პარლამენტს, პრეზიდენტს და პრემიერ-მინისტრს წარუდგენს საჯარო ინფორმაციის გაცემის შესახებ მონაცემებს.ასევე, დირექტორი ყოველი წლის 10 დეკემბრამდე სამეურვეო საბჭოს წარუდგენს ანგარიშს წინა პერიოდის სასწავლო პროცესის მიმდინარეობისა და ფინანსური მდგომარეობის შესახებ. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს წარუდგენს ხელშეკრულების შესრულების ანგარიშებს ელექტრონულად, CMR მოდულის მეშვეობით ხელშეკრულების შესრულებიდან 10 დღის ვადაში (თუ შესყიდვების გეგმა აღემატება 50000 ლარს) ან არაუგვიანეს მომდევნო წლის 30 იანვრისა (თუ შესყიდვების გეგმა არ აღემატება 50000 ლარს).

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საქმისწარმოების წესი;
- საქმისმწარმოებელთან გაფორმებული ხელშეკრულება;
- დირექტორის მიერ გამოცემული ბრძანებები ჩარიცხვის, მობილობის, დონის დაძლევის შესახებ;
- ამონაწერი საინფორმაციო სისტემა eschool-დან.

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით**

სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით; სკოლა აქტიურად სარგებლობს სოციალური ქსელით: https://www.facebook.com/profile.php?id=100045062027544
და ვებ გვერდით: https://skolebi.emis.ge/schools/1061?schoolName=

გარდა ამისა, სკოლა საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ახორციელებს სკოლის ელექტრონული ფოსტის orghuli@mes.gov.ge და სკოლის ფოიეში განთავსებული საინფორმაციო დაფის საშუალებით. ამავე მიზნით, სკოლა აქტიურად იყენებს ელექტრონულ ჟურნალს, „თიმსის“ საგანმანათლებლო პლატფორმას, სოციალურ ქსელს, რომელიც მეტად აქტუალურია მშობლებთან საკომუნიკაციოდ.

საკომუნიკაციო საშუალებებით ხორციელდება სასკოლო საზოგადოების დროული ინფორმირება სკოლაში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით. დაწესებულებაში შემუშავებულია საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის მექანიზმი. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას**

დაწესებულებას დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული ჰყავს საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირი, რომელსაც ევალება სკოლის ვებგვერდზე/ვებგვერდებზე/სკოლების მართვის საინფორმაციო სისტემაში ინფორმაციის განთავსებამდე, მოიძიოს, შეამოწმოს ინფორმაციის სანდოობა, უტყუარობა და სკოლის სახელით გავრცელების საჭიროება/აუცილებლობა; ასევე არ შექმნას, არ გაავრცელოს და არ დაუშვას სკოლის სახელით გავრცელდეს, ყალბი ან შეცდომაში შემყვანი ინფორმაცია; **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. **საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად**

საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად; სკოლა იყენებს და ასევე გეგმავს ონლაინ კითხვარების უფრო ფართოდ დანერგვას თანამშრომლებში, მშობლებში, მოსწავლეებში ინფორმაციის მოგროვებისა და დამუშავების პროცესის გამარტივების მიზნით; სკოლა მიმართავს ციფრული სახით მიღებული ინფორმაციის დამუშავებას. დაწესებულებამ წარმოადგინა არაერთი ონლაინ კითხვარი და კვლევა, რომლის შედეგებიც აისახა სკოლის განვითარების გეგმაში. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4. **სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას**

სკოლას შექმნილი აქვს ვებ-გვერდი https://skolebi.emis.ge/schools/1061?schoolName= რომელზეც განთავსებულია სკოლის შესახებ ინფორმაცია ქართულ ენაზე. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

5. **ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია**

სკოლის ვებ-გვერდზეც განთავსებულია შემდეგ ინფორმაცია სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, და საკონტაქტო ინფორმაცია. სკოლა პირველად გადის ავტორიზაციას, შესბამისად ვებ-გვერდზე არ არის განთავსებული სტარტეგიული და სამოქმედო გეგმის შედეგები. **სკოლის დირექტორის მიერ დამტკიცებულ სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის დოკუმენტში (ბრძანება №2-51,02.12.2024) გაწერილია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მონიტორინგი, შეფასება და გასაჯაროების მექანიზმები. <u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- დაწესებულების ვებ გვერდი: https://skolebi.emis.ge/schools/1061?schoolName=
- დაწესებულების გვერდი სოციალურ ქსელში: https://www.facebook.com/profile.php?id=100045062027544
- საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის მექანიზმი;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება**

სკოლის ფინანსური რესურსი ქმნის საგანმანათლებლო საქმიანობის, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხორციელების მყარ საფუძველს. სკოლის შემოსავლის წყარო არის ვაუჩერული დაფინანსება და სსსმ მოსწავლეების პროგრამული დაფინანსება. სკოლის შემოსავლის ძირითადი ნაწილი განკუთვნილია მასწავლებლების, ტექ.პერსონალის და თანამშრომლების ხელფასებისა და კომუნალური ხარჯების გასასტუმრებლად. სკოლას აქვს შესყიდვების ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, რომელშიც პერიოდულად ხორციელდება კორექტირება დირექტორის ბრძანების საფუძველზე. ასევე, სკოლას აქვს სამეურვეო საბჭოსთან შეთანხმებული და დამტკიცებული 2026 წლის ბიუჯეტი. <u>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**</u>

2. **სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა**

სკოლას აქვს ფინასური რესურსების მართვის, დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის, ეფექტიანი სისტემა. ბიუჯეტის დაგეგმვა ხდება გასული წლის მონაცემების დამუშავებით, გათვალისწინებულია ასევე წინა წლის შესყიდვების გეგმის შესრულების ხარჯვითი ნაწილი, განსაზღვრულია ახალი საჭიროებები, გათვალისწინებულია სკოლის ბიუჯეტის ოდენობა, რაც რჩება ხელფასის, კომუნალური და სხვა აუცილებელი ხარჯების შემდეგ. სკოლა თანხებს განკარგავს დამტკიცებული ბიუჯეტის შესაბამისად, შესყიდვების გეგმა შედგენილია ბაზრის კვლევის საფუძველზე. გეგმის შექმნამდე სკოლა ითვალისწინებს კათედრების მიერ მიწოდებულ ინფორმაციას სასკოლო კურიკულუმებისა და პროექტების განსახორციელებელი საჭირო რესურსების შესყიდვების შესახებ. <u>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**</u>

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- 2026 წლის ბიუჯეტი;
- სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი (ბიუჯეტის დამტკიცებაზე);
- ინვენტარიზაციის დოკუმენტაცია;
- წლიური ბალანსი;
- შესყიდვების დოკუმენტაცია.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა:**

სკოლაში მოქმედებს შინაგანაწესი და სასკოლო სასწავლო გეგმა (2025-2026), სადაც დეტალურადაა გაწერილი მოსწავლის უფლებები (ხარისხიანი განათლება, რესურსებით სარგებლობა) და მოვალეობები. უფლებების დაცვის გარანტიას წარმოადგენს მინისტრის N06/ნ ბრძანების შესაბამისად შექმნილი მრჩეველთა საბჭო. სკოლაში ასევე მოქმედებს ბავშვის მიმართ ძალადობაზე რეაგირების შიდა ინსტრუქცია, დისციპლინური კომიტეტი და სამეურვეო საბჭო. ნებისმიერი დარღვევის შემთხვევაში გათვალისწინებულია ადმინისტრაციული წარმოება, რაც უზრუნველყოფს მოსწავლის ინტერესების სამართლებრივ დაცვას.

2. **მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან:**

სკოლა უზრუნველყოფს რეგულაციების მაღალ გამჭვირვალობას: სასწავლო წლის დაწყებიდან ერთი თვის ვადაში მრჩეველთა საბჭოს წევრები და დამრიგებლები ატარებენ საინფორმაციო შეხვედრებს. მოსწავლეებსა და მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს დეტალურად ეცნობათ შინაგანაწესი, ქცევის კოდექსი, შეფასების სისტემა და დაგეგმილი აქტივობები. მოსწავლეთა ჩართულობით შემუშავებული ქცევის წესები გამოკრულია საკლასო ოთახებში, ხოლო უფლებების დაცვაზე ზრუნავს როგორც ადმინისტრაცია, ისე მოსწავლეთა თვითმმართველობა.

3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება:

თითოეულ მოსწავლესთან (მის კანონიერ წარმომადგენელთან) გაფორმებულია ორმხრივი ხელშეკრულება. დოკუმენტი მკაფიოდ არეგულირებს მხარეთა უფლება-მოვალეობებს, მოიცავს ინფორმაციას სასწავლო და დასვენების დროზე, პერსონალური მონაცემების გამოყენებაზე, ხელშეკრულების შეწყვეტის წესსა და დავების გადაწყვეტის მექანიზმებზე. ხელშეკრულებაზე ხელმოწერით მშობელი ადასტურებს, რომ იცნობს სკოლის შინაგანაწესს და ეთანხმება შეფასების რუბრიკებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. მოსწავლის, პერსონალისა და მშობლის უფლებების დაცვის მექანიზმები და სამეურვეო საბჭოს ოქმი;
2. სკოლის 2025-2026 სასწავლო წლის შინაგანაწესი;
3. 2025-2026 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა;
4. სამეურვეო საბჭოს ოქმი დისციპლინური კომიტეტის შექმნის შესახებ;
5. ინკლუზიური განათლების დანერგვის მექანიზმები და შიდა მონიტორინგის წესი;
6. მშობლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები (ვიზუალური დათვალიერება);
7. მრჩეველთა საბჭოს შეხვედრების ოქმები;
8. ინტერვიუ სასკოლო საზოგადოების წევრებთან.

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები:**

სკოლას აქვს დირექტორის ბრძანებით (№29, 15 აპრილი 2024 წ.) დამტკიცებული „მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, სტატუსის შეჩერებისა და აღდგენის წესი“. მექანიზმში დეტალურად არის გაწერილი საქმისწარმოების ეტაპები: ჩარიცხვის დოკუმენტაციის გადამოწმება საქმისმწარმოებლის მიერ, მობილობის პროცედურები მშობლის განცხადების საფუძველზე და გაცდენების მონიტორინგის სისტემა. კერძოდ, დამრიგებლები აკონტროლებენ 10/20/45-დღიან უწყვეტ გაცდენებს და საჭიროების შემთხვევაში მიმართავენ დირექტორს სტატუსის შეჩერება/შეწყვეტის თაობაზე.

2. **სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს:**

სკოლაში მოსწავლის სტატუსთან დაკავშირებული ყველა პროცედურა ხორციელდება მართვის საინფორმაციო სისტემის (Eschool.emis.ge) მეშვეობით, რაც უზრუნველყოფს კანონმდებლობასთან სრულ შესაბამისობას. დოკუმენტური შემოწმებითა და ბაზების დათვალიერებით დასტურდება, რომ კლასიდან კლასში გადაყვანა, საფეხურის დაძლევა და მობილობა მიმდინარეობს დადგენილი წესების ზედმიწევნითი დაცვით.

3. **სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის... შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი:**

ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც უკავშირდება მოსწავლის სტატუსს, პროგრამებს (მაგ. მეორე უცხოური ენის არჩევანი მე-4 კლასში) და ქცევის წესებს, არის საჯარო. სკოლა აქტიურად იყენებს ოფიციალურ Facebook-გვერდს, სადაც სისტემატურად ქვეყნდება სიახლეები, მიმდინარე აქტივობები და საინფორმაციო განცხადებები მშობლებისთვის.

4. **სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია... არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული:**

სკოლის სახელით გავრცელებული ყოველი ინფორმაცია ეყრდნობა ეთიკის, გამჭვირვალობისა და არადისკრიმინაციულობის პრინციპებს. ინტერნეტ სივრცეში თუ სკოლის ტერიტორიაზე განთავსებული მასალა არის კანონმდებლობასთან შესაბამისი და პერიოდულად განახლებადი. სკოლაში დანიშნულია საჯარო ინფორმაციაზე პასუხისმგებელი პირი, რომელიც უზრუნველყოფს მონაცემთა ვალიდურობას.

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. სკოლის Facebook-გვერდი (სოციალური ქსელი);
2. E-school-ის ელექტრონული ბაზა;
3. 2025-2026 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა;
4. „მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესი“ და დამტკიცების ბრძანება (№29);
5. დაწყებითი და საბაზო საფეხურის კურიკულუმები (2025-2026);
6. ბრძანება კლასიდან კლასში გადაყვანის შესახებ და მოსწავლის ამორიცხვის ბრძანებები;
7. ბრძანება საჯარო ინფორმაციაზე პასუხისმგებელი პირის შესახებ;
8. ინტერვიუ დირექციასთან და საქმისმწარმოებელთან.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი:**

სკოლას დამტკიცებული აქვს „მოსწავლეთა სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის მექანიზმი“, რომელიც ითვალისწინებს პირველკლასელთა, სსსმ მოსწავლეთა და მობილობით გადმოსულთა ინდივიდუალურ საჭიროებებს. მექანიზმი მოიცავს თანამშრომლობას სკოლამდელ დაწესებულებებთან, „ღია კარის დღეების“ მოწყობას და თოჯინების თეატრის მეშვეობით ბავშვების პოზიტიურ განწყობას სკოლის მიმართ.

2. **სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან:**

ადაპტაციის პროცესი იწყება საზეიმო ღონისძიებით, სადაც პირველკლასელებს გადაეცემათ კომპიუტერები. დამრიგებლები მობილობით გადმოსულ მოსწავლეებს აცნობენ სკოლის ინფრასტრუქტურას, ბიბლიოთეკას, შინაგანაწესს და ქცევის კოდექსს. სსსმ მოსწავლეებისთვის მოქმედებს რესურსოთახი და სპეც-მასწავლებლის მომსახურება. სკოლა ზრუნავს ფიზიკური გარემოს ადაპტაციაზეც (პანდუსის პროექტი, ადაპტირებული მერხი).

3. **მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად:**

სკოლაში ეფექტურად მუშაობს „რემედიაციის“ პროგრამა. ტარდება პერიოდული მონიტორინგი კითხვასა და მათემატიკაში, რის საფუძველზეც იგეგმება დამატებითი მეცადინეობები. მასწავლებლები აქტიურად იყენებენ ელექტრონულ ჟურნალს და მშობლებს აწვდიან კონფიდენციალურ უკუკავშირს. ასევე, მოქმედებს სემესტრული/საშემოდგომო გამოცდების გზით ნიშნის გამოსწორების მექანიზმი.

4. **სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით:**

სკოლა ოპერატიულად აწვდის სამინისტროს ინფორმაციას წარჩინებული მოსწავლეების შესახებ (კომპიუტერებით დაჯილდოება). დროულად ხდება რეგისტრაციისა და მობილობის ვადების გამოცხადება. ადმინისტრაცია მხარს უჭერს ოლიმპიადებსა და კონკურსებში მონაწილეობას. ფუნქციონირებს „მშობელთა სამეგობრო“, რომელიც ჩართულია ჯანსაღი კვების სერვისის მოლაპარაკებებში.

5. **სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას:**

სკოლაში ფუნქციონირებს კლუბები: „წიგნიერები“, „მწვანეები“, STEM კლუბი. მოსწავლეთა თვითმმართველობის ინიციატივით ჩატარდა სპორტული შეჯიბრებები და პროექტი „მწვანე გარემო და ბიზნესი“. სკოლას გაფორმებული აქვს მემორანდუმები სხვა სკოლებთან ერთობლივი ვიქტორინებისა და ვიზიტების განხორციელების მიზნით.

6. **მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას:**

სკოლაში განთავსებულია ანონიმური წერილების ყუთი, რომელსაც დირექცია თვითმმართველობასთან ერთად განიხილავს. ჩატარდა გამოკითხვა „მე რომ დირექტორი ვიყო“, რის საფუძველზეც დაიგეგმა შეხვედრები სხვადასხვა პროფესიის ადამიანებთან და ვიზიტი სამთო მომზადების ბანაკში.

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. ინტერვიუს შედეგები და სკოლის სოციალური ქსელი;
2. მოსწავლეთა სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის მექანიზმი და დამტკიცების ბრძანება;
3. რემედიაციის პროგრამა და მონიტორინგის ოქმები;
4. სსსმ მოსწავლეების ინდივიდუალური სასწავლო გეგმები (ისგ);
5. წარჩინების სიგელები და კონკურსების დამადასტურებელი სერტიფიკატები;
6. კლუბების მუშაობის ამსახველი ბმულები და ფოტომასალა;
7. მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულება და სამოქმედო გეგმა;
8. პანდუსის ხარჯთაღრიცხვა და ნახაზები.

შეფასება:

☒ **შეესაბამება**

☐ **მეტწილად შეესაბამება**

☐ **ნაწილობრივ შეესაბამება**

☐ არ შეესაბამება

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის:

სკოლაში მე-9 კლასის მოსწავლეთათვის სისტემატურად ტარდება პროფორიენტაციისა და კარიერული ზრდის გაკვეთილები (წლიურად 8 გაკვეთილი), რაც ეხმარება მათ საკუთარი უნარებისა და ინტერესების იდენტიფიცირებაში. მომსახურება მოიცავს პრაქტიკულ კომპონენტსაც: მოსწავლეებმა მოინახულეს „სამთო მომზადების სკოლა“ და საჩხერის „ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემია“, სადაც ადგილზე გაეცნენ სამუშაო გარემოს. გარდა ამისა, მოსწავლეთა თვითმმართველობის ინიციატივით ეწყობა შეხვედრები სხვადასხვა პროფესიის ადამიანებთან (ჟურნალისტი, ექიმი, მხატვარი), რაც ზრდის მათ მოტივაციასა და ცნობიერებას სხვადასხვა სფეროს შესახებ.

2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით:

სკოლა უზრუნველყოფს მშობლებისა და მოსწავლეების მუდმივ ინფორმირებულობას სწავლის გაგრძელების პერსპექტივებზე. დამრიგებლები და პროფორიენტაციის მასწავლებელი აწვდიან ინფორმაციას უმაღლეს და პროფესიულ სასწავლებლებზე. მნიშვნელოვანია გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტთან, რომლის ფარგლებშიც იგეგმება ვიზიტი უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურისა და საბაკალავრო პროგრამების გასაცნობად. ინფორმაცია ასევე ვრცელდება სოციალური ქსელებისა და პირისპირ შეხვედრების მეშვეობით.

3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს:

პროფესიული ორიენტაციის მომსახურების გაუმჯობესება სკოლაში მუდმივი პროცესია და ეფუძნება მოსწავლეთა უკუკავშირს. გაწეული მომსახურების შეფასებისას გათვალისწინებულია მოსწავლეთა სურვილები, რაც ხშირად ზეპირი გამოკითხვით ვლინდება. მაგალითად, სწორედ მოსწავლეთა ინტერესების საფუძველზე დაიგეგმა შეხვედრები წარმატებულ იურისტებთან და სპორტსმენებთან. ასევე, სკოლაში ჩატარდა კვლევა ოჯახისა და სკოლის როლზე უნარების განვითარებაში, რომლის შედეგებიც გამოიყენება სამომავლო აქტივობების დასაგეგმად.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სადამრიგებლო პროგრამები;

- პროფორიენტაციის პედაგოგის ანგარიში;
- პროფესიული ორიენტაციისა და კარიერული წინსვლის გაკვეთილების გეგმა;
- სხვადასხვა პროფესიის წარმომადგენლებთან (მაგ. მხატვართან) შეხვედრის ამსახველი მასალები;
- მემორანდუმი აკაკი წერეთლის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან;
- ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები სხვა სკოლებთან;
- ინტერვიუს შედეგები სასკოლო საზოგადოებასთან.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი:

სკოლას დამტკიცებული აქვს „ინკლუზიური განათლების დანერგვისა და განვითარების მექანიზმი“, რომელიც განსაზღვრავს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებთან მუშაობის სრულ ციკლს. პროცესი იწყება სირთულეების იდენტიფიცირებითა და პირველადი მართვით, რასაც საჭიროების შემთხვევაში მოჰყვება მულტიდისციპლინური გუნდის მიერ შეფასება. სკოლა უზრუნველყოფს ინდივიდუალური სასწავლო გეგმების (ისგ) შემუშავებას, საგაკვეთილო პროცესის მოდიფიცირებასა და გარემოს ადაპტაციას. სსსმ მოსწავლეთათვის ფუნქციონირებს სათანადოდ აღჭურვილი რესურსოთახი და მობილიზებულია კვალიფიციური კადრები: 1 სპეციალური მასწავლებელი და 2 ასისტენტი. მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლეთა პერსონალური ინფორმაცია და ინდივიდუალური გეგმები დაცულია და ინახება კონფიდენციალურად.

2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს:

სსსმ მოსწავლეთა მხარდაჭერა სკოლაში გუნდური მუშაობის შედეგია. ისგ ჯგუფში, რომელიც მინიმუმ 4-ჯერ იკრიბება წლის განმავლობაში, ჩართულნი არიან საგნის მასწავლებლები, სპეციალური მასწავლებელი, დამრიგებელი (როგორც კოორდინატორი) და მშობელი. სკოლაში ფუნქციონირებს ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის ჯგუფი, რომელიც

აფასებს დასახული მიზნების მიღწევას და ამზადებს წლიურ დასკვნას. გარდა აკადემიური მხარდაჭერისა, სკოლა ზრუნავს სოციალურ ინკლუზიაზე: ტარდება ცნობადობის ამაღლების ღონისძიებები (აუტიზმის საერთაშორისო დღე, დაუნის სინდრომის მსოფლიო დღე), რაც ხელს უწყობს მეგობრული და ურთიერთპატივისცემაზე დამყარებული გარემოს შექმნას. მშობლები მუდმივად ინფორმირებულნი არიან შვილის პროგრესის შესახებ ზეპირი და წერილობითი კომუნიკაციის გზით.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სსიპ საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ ორღულის საჯარო სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმა;
- „ინკლუზიური განათლების დანერგვისა და განვითარების მექანიზმი“ და დამტკიცების ბრძანება;
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმები (ისგ) და ისგ ჯგუფის სხდომის ოქმები;
- ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის ჯგუფის შექმნის ბრძანება და დასკვნა;
- სპეციალური მასწავლებლისა და ასისტენტების სამუშაო აღწერილობები;
- რესურსოთახის ვიზუალური დათვალიერება და ინვენტარის ნუსხა;
- ცნობადობის ამაღლების ღონისძიებების ამსახველი ფოტომასალა.

4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება... ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე:
სკოლაში მოსწავლეთა ტრანსპორტირების მომსახურება ხორციელდება ადგილობრივი მუნიციპალიტეტის პროგრამის ფარგლებში, რაც შესაბამისი მარეგულირებლის მიერაა ავტორიზებული. სკოლა ასრულებს თავის ვალდებულებას მოსწავლეთა მოყვანა/წაყვანის პროცესის ადმინისტრირებასთან დაკავშირებით. კერძოდ, მოსწავლეთა დასწრება და გადაადგილება კონტროლდება სპეციალური ტაბელებით, რომლებსაც დირექტორი ადასტურებს ხელისმოწერით. ტაბელი

ივსება სამ ეგზემპლარად (სკოლისთვის, მუნიციპალიტეტისთვის და მძღოლისთვის), რაც უზრუნველყოფს პროცესის გამჭვირვალობასა და კანონმდებლობასთან შესაბამისობას.

2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას

ტრანსპორტირების მომსახურება არის ნებაყოფლობითი და ეფუძნება მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს, რათა უზრუნველყოფილ იქნას განათლების ხელმისაწვდომობა. რაც შეეხება სხვა ტიპის არასავალდებულო მომსახურებებს (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, საერთო საცხოვრებელი), სკოლა ამ ეტაპზე მსგავს სერვისებს არ სთავაზობს, შესაბამისად, სხვა ტიპის სახელშეკრულებო შეთანხმებების საჭიროება არ იკვეთება.

3. შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს

სკოლას ემსახურება ტრანსპორტი. ტრანსპორტირების პროცესში დაცულია უსაფრთხოების ნორმები. სკოლის მხრიდან ხორციელდება მუდმივი ზედამხედველობა მოსწავლეთა უსაფრთხო გადაადგილებაზე. ვინაიდან სკოლა უშუალოდ სხვა დამატებით მომსახურებებს არ ეწევა, არსებული ტრანსპორტირების სქემა სრულად ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს და უსაფრთხო სასწავლო გარემოს უზრუნველყოფას.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- *მოსწავლეთა ტრანსპორტირების აღრიცხვის ტაბელები;*
- *დირექტორის ხელმოწერით დადასტურებული რეისების ანგარიშები;*
- *ადგილობრივ მუნიციპალიტეტთან თანამშრომლობის დოკუმენტაცია;*
- *ინტერვიუ სკოლის ადმინისტრაციასთან.*

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მეორე სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი დაწყებითი საფეხური	☐ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი საბაზო საფეხური	☐ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის იწერება გაერთიანებული სახით. ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის იდენტიფიცირება ხდება, მაშინ როდესაც იწერება ხარვეზი/რეკომენდაცია/რჩევა.

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას: ორღულის საჯარო სკოლას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს „კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია“. აღნიშნული დოკუმენტი წარმოადგენს თანამშრომლობით ჩარჩოს, რომელიც უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების ყველა წევრის (მასწავლებელი, მშობელი, მოსწავლე) ჩართულობას. მეთოდოლოგია ეფუძნება წინა სასწავლო წლის მონიტორინგის შედეგებსა და გამოკვეთილ საჭიროებებს. პროცესი მოიცავს ვერიფიკაციის მექანიზმებსა და სწავლა-სწავლების მიდგომების ერთობლივ განხილვას, რაც გარანტიას იძლევა, რომ კურიკულუმი პასუხობდეს არსებულ გამოწვევებსა და პრიორიტეტებს. მოსწავლეებთან და მშობლებთან გასუბრების დროს კვლევის ყველა ეტაპზე მათი ჩართულობა დადასტურდა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები: სასკოლო კურიკულუმი ორიენტირებულია მოსწავლის პიროვნულ ზრდაზე, რაც აისახება როგორც ფორმალურ, ისე არაფორმალურ განათლებაში. მოსწავლეთა აკადემიური ინტერესების დასაკმაყოფილებლად ხდება ცოდნის დიაგნოსტირება (სემესტრული შეფასებები, ანალიზი) და რემედიაციის გეგმების შედგენა. არაფორმალური განათლების კუთხით, კურიკულუმში ასახულია ისეთი აქტივობები, როგორიცაა მკითხველთა კლუბი „ასფურცელა“, თოჯინების თეატრი და შემოქმედებითი პროექტები. მშობელთა და მასწავლებელთა ინტერესები აისახება ყოველწლიური რევიზიის პროცესში, სადაც რეფლექსიის საფუძველზე ხდება საკითხებისა და დავალებების მოდიფიცირება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ: კურიკულუმის შექმნა არ არის მხოლოდ ადმინისტრაციული პროცესი; ის ერთობლივი დაგეგმარების შედეგია. შემუშავების, დანერგვისა და რევიზიის ეტაპები განიხილება კათედრებზე, პედაგოგიურ საბჭოზე და მშობელთა კრებებზე. სკოლა აქტიურად იყენებს დისკუსიებს აქტუალურ თემებზე (მაგალითად, ჰიგიენასთან დაკავშირებული საკითხები ექთნის ჩართულობით), რაც კურიკულუმის შინაარსობრივ განვითარებას უწყობს ხელს. მასწავლებლები ინდივიდუალური რეფლექსიებითა და კათედრის ოქმებით პირდაპირ მონაწილეობენ დოკუმენტის საბოლოო სახის ჩამოყალიბებაში. დიდია სკოლის ბაზაზე პროფესიული ზრდის გავლენა. მასწავლებლები ხშირად ატარებენ სასწავლო ჯგუფის შეხვედრებს და ერთმანეთს უზიარებენ წარმატებულ პრაქტიკას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ: სკოლა უზრუნველყოფს კურიკულუმის გამჭვირვალობასა და საჯაროობას სხვადასხვა არხის მეშვეობით: ვებ-გვერდი, ელექტრონული ფოსტა და სოციალური ქსელები (ფეისბუქ გვერდი „ორღულის საჯარო სკოლა“). მშობლებთან კომუნიკაციისთვის გამოიყენება დახურული ჯგუფები („ორღულის სკოლის

მშობლები“), სადაც ხდება უკუკავშირის მიღება. საჯარო შეკრებები და ღია კარის დღეები ემსახურება კურიკულუმის მიზნების გაზიარებასა და სასკოლო საზოგადოების მხრიდან საერთო პასუხისმგებლობის აღებას.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- კურიკულუმის შემუშავების, განვითარების, მონიტორინგის და შეფასების მეთოდოლოგია;
- პედაგოგიური საბჭოს ოქმები და შესაბამისი ბრძანებები;
- 2025-2026 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა და საგნობრივი კურიკულუმები;
- კათედრების ოქმები და დებულება;
- დიაგნოსტიკური წერისა და შემაჯამებელი დავალებების ანალიზის ფორმები;
- მშობელთა ანონიმური კითხვარები და შეხვედრის აქტები;
- კომპლექსური დავალების ბარათები;
- ხარისხის ჯგუფის დებულება და ბრძანება;
- სკოლის ვებ-გვერდისა და სოციალური ქსელის ბმულები/ფოტომასალა;
- არაფორმალური განათლების დამადასტურებელი დოკუმენტაცია (კლუბების ბმულები, სიგელები, თოჯინების თეატრის ფოტოები).

2.1.2კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლას წარმოდგენილი აქვს I-X კლასების საგნობრივი კურიკულუმები ბუნებისმეტყველებაში, ბიოლოგიაში, ქიმიასა და ფიზიკაში. საგნობრივი კურიკულუმები წარმოადგენს სტრუქტუირებულ დოკუმენტს და მოიცავს ყველა აუცილებელ კომპონენტს. კურიკულუმები შედგენილია საგნობრივ სტანდარტის მიხედვით და ჩანს სავალდებულო თემები, საკითხები, სამიზნე ცნებები, კონტექს-მაგალითები, შემოქმედებითი ტიპის დავალებები და რესურსები, რომელიც ორიენტირებულია მოსწავლეთა განვითარებაზე, მათ საჭიროებებსა და ასაკობრივ თავისებურებებზე. კურიკულუმები უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის დაგეგმვას ისე, რომ თითოეული მოსწავლე აქტიურად იყოს

	ჩართული, შეძლოს ცოდნის კონსტრუირება და კრიტიკული, შემოქმედებითი და კვლევითი უნარების განვითარება. **რჩევა:** სასურველია დაწყებითი საფეხურის III და IV კლასის კურიკულუმებში სავალდებულო თემები და სამიზნე ცნებები სტანდარტის შესაბამისად გაიწეროს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	*სკოლის მიერ საზოგადოებრივი მეცნიერებების ჯგუფში შემავალ ყველა საგანში (მე და საზოგადოება, ისტორია, გეოგრაფია, საქართველოს ისტორია, მოქალაქეობა,პროექტული სწავლება მოქალაქეობაში) ორივე საფეხურზე წარმოდგენილი და შემუშავებული კურიკულუმი ეფუძნება მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების პრინციპებს და მიზნად ისახავს სასწავლო პროცესის ეფექტიან დაგეგმვასა და განვითარებას. თითოეული საგნის კურიკულუმში უმეტესად წარმოდგენილია კომპლექსური ტიპის დავალებები, რომლებიც უზრუნველყოფს მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობას სასწავლო პროცესში და ითვალისწინებს მათ ინდივიდუალურ საჭიროებებს, შესაძლებლობებსა და ინტერესებს.* **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
უცხოური ენები	უცხოური ენების კათედრის მიერ ორივე საგანში (ინგლისური ენა, რუსული ენა), ორივე საფეხურზე შემუშვებული კურიკულუმები გვაძლევს საშუალებას ვთქვათ რომ სასკოლო საზოგადოება ორიენტირებულია გძელვადიან მიზნებზე და შედეგები განისაზღვრება საფეხურების და მთლიანად სასწავლო კურსის დონეზე (ე.ს.გ. მიხედვით). ორივე საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები არის ასაკობრივი შესაძლებლობების გათვალისწინებით შემუშავებული და წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. კურიკულუმით განსაზღვრული რესურსები არის მრავალფეროვანი და ინტერაქტიული, რაც ხელს უწყობს იმას რომ ყველა მოსწავლე აქტიურად იყოს ჩართული სასწავლო პროცესში. კურიკულუმებში წარმოდგენილი შემოქმედებითი ბუნების

	დავალებები და გასაუბრების დროს კათედრის წევრების მიერ მაგალითად მოჰყვანილი შემოქმედებითი დავალებებზე მუშაობის ეტაპების აღწერა გვაძლევს საშუალებას ვთქვათ რომ ნებისმიერ მოსწავლეს აქვს საშუალება მაქსიმალურად გამოავლინოს საკუთარი შესაძლებლობი და მოახდინოს თვითრეალიზება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ესთეტიკური აღზრდა	ათედრის მიერ წარმოდგენილ ორივე საფეხურის საგნობრივ კურიკულუმების გაცნობისა და მასწავლებლებთან გასაუბრებისას ირკვევა, რომ განხორიელებული აქტივობები, ღონისძიებები, კომპლექსური დავალებები ითვალისწინებს მოსწავლის სწავლა-სწავლების აქტიურ პროცესში ჩართვას. სკოლას წარმოდგენილი აქვს უმეტესად კომპლექსური დავალებებით დაგეგმილი სასწავლო პროცესის ამსახველი კურიკულუმები, რაც შეიძლება მივიჩნიოთ მოსწავლეზე ორიენტირებულ მიდგომად, ცოდნის გადაცემის პროცესი ისეა წარმოდგენილი რომ ხდება მისი კონსტრუირება, ძველზე ახლის შენება და მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინება. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
სახელმწიფო ენა	სკოლის მიერ შემუშავებული დაწყებითი და საბაზო საფეხურის ქართული ენისა და ლიტერატურის კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. კურიკულუმში გაწერილია საგნის სტანდარტით გათვალისწინებული სავალდებულო თემები და სამიზნე ცნებები. სამიზნე ცნებებთან მიმართებით დაზუსტებულია სასწავლო რესურსები და ქვეცნებები. კურიკულუმების ჩარჩოებში აგრეთვე ასახულია შუალედური სასწავლო მიზნები შემოქმედებითი დავალების იდეა/პირობის დასახელებით, რომელიც თავისი შინაარსით წარმოადგენს კომპლექსური ან კომპლექსური ბუნების დავალებებს. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
მათემატიკა	კურიკულუმი ნათლად ასახავს მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლის პრინციპებს. დაგეგმვის პროცესში უპირატესობა მინიჭებულია მოსწავლის საჭიროებებზე, ინტერესებსა

	და შესაძლებლობებზე. შემოთავაზებული სასწავლო აქტივობები მიზანმიმართულია აქტიური სწავლებისკენ, ხელს უწყობს კრიტიკული აზროვნების, თანამშრომლობისა და ინდივიდუალური განვითარებისთვის საჭირო უნარების განვითარებას; ორღულის საჯარო სკოლის პედაგოგებს პრაქტიკაში კარგად აქვთ დანერგილი ურთიერთდასწრების პრაქტიკა, მკაფიო უკუკავშირით, რომელიც ეხმარება მათ მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვაში. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
სპორტი	სპორტის საგნობრივი კურიკულუმები, შემუშავებულია სპორტის საგნობრივ სტანდარტზე დაყრდნობით და მიმართულია სტანდარით განსაზღვრული შედეგების მიღწევაზე, იგი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას, სადაც გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები და შესაძლებლობები. შდეგი კი ასახულია სპორტულ აქტივობებში და მიღწევებში. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.
ტექნოლოგიები	მასწავლებლის მიერ შემუშავებული საგნობრივი კურიკულუმი (II-დან VI კლასის ჩათვლით) წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარებისათვის. კურიკულუმი ორიენტირებულია სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაზე, შემუშავებულ კურიკულუმში შუალედურ მიზნებად მოაზრებულია სამიზნე ცნებები და მათი დამუშავებისთვის წარმოდგენილია კომპლექსური დავალებები (კომპლექსური დავალებების იდეები), რომლებიც შემუშავებულია მოსწავლეთა ინტერესების, შესაძლებლობების, ცოდნის, საჭიროებების გათვალისწინებით და რომლებიც ხელს უწყობს ცოდნის ურთიერთდაკავშირებას. წარმოდგენილ კურიკულუმებში მუშავდება სტანდარტით გათვალისწინებული საგნობრივი მიმართულებები (კომპიუტერული ტექნოლოგიები, ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები და ციფრული წიგნიერება) და ასევე, ყველა სამიზნე ცნება. კურიკულუმის მიხედვით სწავლება ეფუძნება მოსწავლის შინაგანი მოტივაციის

	გააქტიურებას და ცხოვრებისეული გამოცდილების გათვალისწინებას. კურიკულუმში წარმოდგენილია კომპლექსური ბუნების დავალებების იდეები, რომლთა შესრულებისას მოსწავლეს განუვითარდება შემოქმედებითი აზროვნება და ლოგიკურ-ალგორთმული უნარები.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	კურიკულუმები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ, რომელიც ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებსა და სკოლის მისიას. გათვალისწინებულია დაწყებითი კლასების მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებები, მათი საჭიროებები და ინტერესები.

2. კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი კურიკულუმები მიემართება ესგ-ით განსაზრვრულ გრძელვადიან მიზნებს საფეხურის შედეგებსა და სამიზნე ცნებებს და შუალედურ მიზნად გაწერიალია კომპლექსური ტიპის დავალებები/პროექტები. კურიკულუმებში ყველა კომპლექსური ტიპის დავალებისთვის შერჩეულია კონტექსტ -მაგალითი და მრავალფეროვანი ელექტრონული და მატერიალური რესურსები. შუალედური მიზნის მქონე დავალებები მოსწავლეს აძლევს ცოდნის სამივე კატეგორიის ცოდნის დადასტურებისა და თემაში/საკითხებში მიღებული ცოდნის გამოყენების შესაძლებლობას. სკოლაში დანერგილი პრაქტიკა აჩვენებს, პედაგოგები გეგმავენ და წარმართავენ ესგ-ის მოთხოვნებზე დაყრდნობით, რაც ზრდის სწავლების ეფექტიანობას.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლის მიერ წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმები ითვალისწინებს საგნობრივ მოთხოვნებს და მიემართება ესგ გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს. კერძოდ, კურიკულუმის საგნობრივ ჩარჩოებში გაწერილია სავალდებულო თემები ,რომლის ფარგლებშიც მუშავდება ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად ყველა შედეგები და სამიზნე ცნებები. თუმცა, იკვეთება ცალკეულ კლასებთან და საგნებთან მიმართებით საკითხები, რომელიც ხელს უშლის სრული სურათის წარმოდგენას. მაგ:საგან მე და საზოგადოებაში (მე-3 და მე-4 კლასი) შემოქმედებითი დავალების იდეაში არ ჩანს პროდუქტი, რაც უნდა შექმნას მოსწავლემ, საკითხის გრაფაში წერია ქვეცნებები. ჩვენი საქართველო (კლასი მე-6) თემაში მხოლოდ ერთი სამიზნე ცნება არის დამუშავებული. საქართველოს ისტორიაში (კლასი მე-10) მეორე თემაში შემოქმედებითი დავალების იდეაში არ ჩანს პროდუქტი, რაც უნდა შექმნას მოსწავლემ. მოქალაქეობა (კლასი მე-10) მეორე თემაში შეფასების კრიტერიუმია მოცემული შემოქმედებითი დავალების იდეაში. ტექნიკურად გასასწორებელია გეოგრაფიის საგნობრივი კურიკულუმებიც. თუმცა პედაგოგებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მათ გააზრებული აქვთ კურიკულუმის შემადგენელი კომპონენტების მნიშვნელობა და აქვთ მზაობა მოიყვანონ ყველა საგნის საგნობრივი კურიკულუმი საგნობრივ სტანდარტთან შესაბამისობაში. რჩევა: საზოგადოებრივი მეცნიერებების ჯგუფში შემავალ ყველა საგნობრივი კურიკულუმის შედგენის დროს პედაგოგებმა იხელმძღვანელონ ესგ ბოლო ვერსიით და შესაბამისი საგნობრივი სტანდარტებით. განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამახვილდეს კურიკულუმის ყველა კომპონენტის ლოგიკურ და თანმიმდევრულ კავშირზე — თემის, საკითხის, სამიზნე ცნებების, შედეგებისა და შემოქმედებითი დავალებების იდეების ურთიერთ შესაბამისობაზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**.
უცხოური ენები	უცხოური ენების კათედრის მიერ ორივე საგანში (ინგლისური ენა, რუსული ენა) თავდაპირველად წარმოდგენილი კურიკულუმები არ შეესამებოდა კურიკულუმების შემუშავების მეთოდოლოგიას, რომელიც ითვალისწინებს ესგ-ში მოცემულ ყველა თემატური ბლოკების და თემების დაფარვას (სკოლის მიერ წარდგენილ კურიკულუმებში გრაფაში „თემა“ მითითებული იყო სახელმძვანელოში მოცემული თავების დასახელებები; აგრეთვე კურიკულუმებში მოცემული შემოქმედებითი ტიპის დავალებები არ ფარავდა ყველა სამიზნე ცნებას. ონლაინ შეხვედრის დროს მასწავლებლებს მიეცა მითითება და შენიშვნა ამის შესახებ. ვიზიტის დროს გამოგზავნილ კურიკულუმების ბოლო ვერსიაში უცხოური ენის მასწავლებლებს გათვალისწინებული აქვთ გასაუბრების დროს მიღებული შენიშვნები და

	კურიკულუმებში შეტანილი აქვთ ცვლილებები თუმცა არის უზუსტობა, კერძოდ: ორივე საგნის: ინგლისური ენის და რუსული ენის საბაზო საფეხურის კურიკულუმებში სვეტში „თემა“ მითითებული აქვთ თემის დასახელება ან აღებული აქვთ დაწყებითი საფეხურის თემატური ბლოკის თემები და არ არის მითითებული არც პარამეტრები არც აქტივობის სფეროები და არც კონკრეტულად ის თემა რომელსაც გადიან. (არ აქვთ გამოყენებული ესგ-ში საგნობრივი სტანდარტის საბაზო საფეხურის თემატური ჩარჩო) **რჩევა:** კურიკულუმების შედგენის დროს უცხოური ენების კათედრის მასწავლებლებმა პირველ რიგში იხელმძღვანელონ ესგ-ის ბოლო ვერსიით და ზუსტად გადაიტანონ ესგ-დან კურიკულუმში თემების და ცნებების დასახელება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებული**
ესთეტიკური აღზრდა	კურიკულუმი ითვალისწინებს საგნობრივ მოთხოვნებს. მასში გაწერილი კომპლექსურ დავალებები, აქტივობები, ღონიძიებები, განხორციელებულ პროექტები დასტურია იმისა, რომ კურიკულუმი ემსახურება ფუნქციური უნარების განვითარებას, ისეთების როგორიცაა კრიტიკული აზროვნება, კომუნიკაცია, თანამშრომლობა, შემოქმედებითობა, ნებელობა და მოქალაქეობა და ასე შემდეგ, კურიკულუმში ჩანს სავალდებულო თემატური ბლოკები, მასთან დაკავშირებული თემები, საკითხები, რომლის ფარგლებშიც მუშავდება ეროვნული სასწავლო გეგმის ყველა შედეგი და სამიზნე ცნება. კურიკულუმეში წარმოდგენილი განსახორციელებელი კომპლექსური დაველებები მოსწავლეებს აძლევს საშუალებას საკუთარ გამოცდილებასთან ინტეგრირებულად გამოიყენონ ახალი ცოდნა და უნარები. ხელს უწყობს სამიზნე ცნებებზე ორიენტირებას და მკვიდრი წარმოდგენების დამუშავებას, ეხმარება შემოქმედებითი აზროვნების განვითარებაში და უზრუნველყოფს სწავლების პროცესის კიდევ უფრო საინტერესოდ და ნაყოფიერად წარმართვას. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

სახელმწიფო ენა	სკოლის მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების კითხვარის, თანდართული დოკუმენტაციითა და ინტერვითი დასტურდება, რომ რომ სასწავლო პროცესი ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმებში ორიენტირება ხდება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებზე. საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული შინაარსი(თემა/საკითხი), შუალედური მიზანი/მიზნები, სათობრივი დატვირთვა, სემესტრული განაწილება, ასევე კურიკულუმით განსაზღვრული აქტივობები უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას. შუალედური სასწავლო მიზანი განსაზღვრულია კომპლექსური ბუნების დავალებით. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
მათემატიკა	კურიკულუმი სრულად შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნებსა და პრიორიტეტებს. იგი ასახავს საბაზისო კომპეტენციებს, საგნობრივი სტანდარტებსა და სწავლა-სწავლების თანამედროვე მიდგომებს. სასწავლო პროცესის დაგეგმვა ხელს უწყობს ეროვნული მიზნების პრაქტიკაში განხორციელებას. გამოვკვეთ მეცხრე კლასის მოსწავლეების მიერ განხორციელებულ შემოქმედებით პროდუქტს თემაზე: „გეომეტრიული ფიგურის ფართობი - სკვერის დაგეგმარება“, სადაც დასაგეგმი და მოსაწყობი იყო ყვავილნარი - აქ მკაფიოდ ჩანს მოსწავლეთა სიღრმისეული ცოდნა. ასევე მოსწავლეებისთვის ძალიან საინტერესო იყო მესამე კლასის კურიკულუმში გეომეტრიული ფიგურების შესახებ შემუშავებული დავალება, სადაც სახლისა და ეზოს მაკეტი უნდა შეექმნათ სივრცული ფიგურებით, რომელიც მოსწავლეებმა წარმატებით განახორციელეს. □იშანდობლივია, რომ გეომეტრიის მიმართულებით დაწყებით საფეხურზე შეცვალეს წინასწარ შერჩეული კომპლექსური დავალება და შეიმუშავეს ახალი “ საძინებლის დაგეგმარება”, რომელმაც მეტი ინტერესი გამოიწვია მოსწავლეებში. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
სპორტი	სპორტის საგნობრივი კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებზე ორიენტირით. სამიზნე ცნებები და აქტივობები იერაქრქიულ კავშირშია ერთმანეთთან. ჩატარებული სპორტული აქტივობები ხელს უწყობს მოსწავლეებში

	გრძელვადიანი მიზნების მიღწევას, კერძოდ, ემოციების მართვის, უსაფრთხოების დაცვის, სამართლიანი თამაშის წესების დაცვის, კრიტიკული აზროვნების უნარების განვითარებას. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.
ტექნოლოგიები	წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისას და ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებელს გააზრებული აქვს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საკითხების ურთიერთმიმართებები, საგნის სწავლების მიზანი. კომპლექსური ბუნების დავალებები მიემართება კონკრეტულ ცნებებსა და ქვეცნებებს. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ კომპლექსურ დავალებებთან ერთად ციფრული ტექნოლოგიების ინტეგრირებით სკოლაში ხორციელდება ინტეგრირებული გაკვეთილები, სხვადასხვა სახის ღონისძიებები, რაც ხელს უწყობს მოსწავლეებში გლობალური ფუნქციური უნარების გააქტიურებასაც. მასწავლებელმა აღწერა რამდენიმე უკვე განხორციელებულ კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესი, ეტაპები, აქტივობები, შუალედური დავალებები. მასწავლებელი კომპლექსური დავალების დაგეგმვისას ითვალისწინებს სამიზნე ცნებებსა და მკვიდრ წარმოდგენებს. მასწავლებელს გააზრებული აქვს, რომ კომპლექსური ბუნების დავალებები ხელს უწმობს მოსწავლეს იაზროვნოს კრიტიკულად, პროდუქტის შექმნისას/ პრობლემის გადაჭრას მიუდგეს შემოქმედებითად, გუნდური მუშაობის დროს ჩამოუყალიბდეს თანამშრომლობითი უნარები.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	კურიკულუმები შემუშავებულია ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით. მიემართება გრძელვადიან მიზნებს; სტანდარტით გათვალისწინებული თემების ფარგლებში მუშავდება შუალედური მიზნები. **რჩევა:** სასურველია, კათედრამ კურიკულუმისთვის შეიმუშაოს ერთიანი ჩარჩო, რომელშიც მკაფიოდ იქნება წარმოჩენილი თითოეული სვეტის დანიშნულება; სწორად აისახოს ესგ-ს შესაბამისად გაწერილი სავალდებულო თემები, სტანდარტის შედეგები და დავალების იდეა. ემის ფარგლებში დამუშავდეს ყველა სამიზნე ცნება.

1. **კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლაში საბუნებისმეტყველო მიმართულებით წარმოდგენილი საგანმანათლებლო რესურსები შეესაბამება კურიკულუმით განსაზღვრულ სასწავლო მიზნებსა და შედეგებს. სასწავლო პროცესში გამოიყენება მრავალფეროვანი რესურსები, მათ შორის სახელმძღვანელოები, ატლასები, ტაბულები, მოდელები, მულაჟები, სხვადასხვა ხელსაწყოები და რეაქტივები,ტელესკოლისა და სილქნეტის საშინაო სკოლის ვიდეოგაკვეთიები,ციფრული რესურსები და ექსპერიმენტული აქტივობებისთვის საჭირო საშუალებები.რესურსები ხელმისაწვდომია როგორც მასწავლებლებისათვის, ასევე მოსწავლეებისათვის და მათი გამოყენება ხელს უწყობს პრაქტიკული უნარების განვითარებას, კვლევითი მიდგომების ჩამოყალიბებას და საგნობრივი კომპეტენციების გაღრმავებას. სასწავლო რესურსები მიზანმიმართულედაა შერჩეული და გამოიყენება სწავლა-სწავლების პროცესში ისე, რომ უზრუნველყოფილი იყოს მოსწავლეთა ჩართულობა,, აქტიური მონაწილეობა და კურიკულუმით განსაზღვრული შედეგების მიღწევა. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სკოლაში არსებული საგანმანათლებლო რესურსები, ეფექტურად უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საზოგადოებრივი მეცნიერებების ჯგუფში შემავალი საგნების კურიკულუმებში წარმოდგენილი რესურსები ძირითადად მოიცავს გრიფირებულ სახელმძღვანელოებს. თუმცა, პედაგოგებთან ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე იკვეთება, რომ სასწავლო პროცესში ისინი აქტიურად იყენებენ დამატებით რესურსებს, როგორიცაა სასწავლო რუკები, თემატური ვიდეორგოლები,

	ანიმაციები და სხვა ვიზუალური მასალა, რაც ხელს უწყობს კურიკულუმით განსაზღვრული სწავლის შედეგების ეფექტიან მიღწევას. **რჩევა:** საზოგადოებრივი მეცნიერებების ჯგუფში შემავალი საგნების საგნობრივ კურიკულუმებში, გრიფირებულ სახელმძღვანელოებთან ერთად, მკაფიოდ იყოს განსაზღვრული და მითითებული დამატებითი სასწავლო რესურსები (მაგ., ანიმაციები, „ტელესკოლის“ გაკვეთილები, საგანმანათლებლო ვიდეოები და სხვა), რაც გაამრავალფეროვნებს სასწავლო პროცესს და კიდევ უფრო შეუწყობს ხელს კურიკულუმით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**.
უცხოური ენები	უცხოური ენების კათედრის მიერ ორივე საგანში (ინგლისური ენა, რუსული ენა) ორივე საფეხურზე შემუშვებული კურიკულუმები გვაძლევს საშუალებას ვთქვათ რომ სასწავლო პროცესში გამოყენებული რესურსები უზრუნველყოფს მოსწავლეების მიერ სასწავლო შედეგების მიღწევას. ეს რესურსებია: პირველ რიგში, გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოები, დამატებით სასწავლო რესურსებად კურიკულუმში მრავლად არის ე.წ. „ლინკები“ (ელ. რესურსების მისამართები) რომლების მორგებულია სასწავლო თემებს. სკოლას აქვს საკმარისი მატერიალური ბაზა (კომპიუტერები, პროექტორები და ა.შ) რომ ეს ელექტრონული რესურსები გამოიყენონ გაკვეთილზე. **რჩევა** მასწავლებლებმა მუდმივად ამოწმონ კურიკულუმებში მოცემული ე.წ. „ლინკები“ რადგან ზოგი ლინკი არ იხსნება ან ლინკზე გახსნილი რესურსის თემა არ შეესაბამება კურიკულუმში დაწერილ თემას. სასურველია მასწავლებელმა მისთვის საჭირო ელ.რესურსი ჩამოტვირთოს და შეინახოს საკუთარ იუთუბარხზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

ესთეტიკური აღზრდა	დაწესებულების მიერ წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმებში წარმოდგენილი საგანმანათლებლო რესურსები (გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოები; დამხამარე სახელმძღვანელოები; სამინისტროს რესურსები; ელექტრონული ლინკები) ორიენტირებულია მოსწავლის ინტერესებსა და შესაძლებლობებზე, ხელს უწყობს მოსწავლის სწავლა-სწავლების აქტიურ პროცესში ჩართვას და უზრუნველყოფს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სწავლის შედეგების მიღწევას. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
სახელმწიფო ენა	კურიკულუმით გათვალისწინებული სასწავლო რესურსი უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას. ქართული ენისა და ლიტერატურის კურიკულუმში ასახულია როგორც ძირითადი,აგრეთვე დამხმარე საგანმანათლებლო რესურსები ბმულების სახით; ძირითადი სასწავლო რესურსი არის გრიფირებული ან შეთანხმებული საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან, კანონმდებლობით დადგენილი წესით. მასწავლებლებთან ინტერვიუდან ირკვევა, რომ რესურსების შერჩევა ხდება აქტივობების, შუალედური და გრძელვადიანი მიზნების შესაბამისად. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
მათემატიკა	კურიკულუმში მოცემული საგანმანათლებლო რესურსები შერჩეულია მიზანმიმართულად და სრულად შეესაბამება განსაზღვრულ სასწავლო შედეგებს. ისინი მრავალფეროვანია, სწავლების განსხვავებულ სტილსა და მოსწავლის ინდივიდუალურ საჭიროებებს ითვალისწინებს. რესურსები ხელს უწყობს აქტიური და ჩართულობაზე ორიენტირებული სწავლის პროცესის განხორციელებას და უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების ეფექტურად მიღწევას; **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
სპორტი	კურიკულუმებით გათვალისწინებული რესურსები უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ სწავლის შედეგების მიღწევას. კურიკულუმებში მოცემულია ძირითადი რესურსები გრიფირებული სახელმძღვანელოების სახით, ასევე დამხმარე რესურსები, რომლებიც ეხმარება მასწავლებელს და მოსწავლეს მიზნების მიღწევაში.

	ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.
ტექნოლოგიები	კურიკულუმში წარმოდგენილია და შეთავაზებულია მოსწავლეზე მორგებული, მრავალფეროვანი სასწავლო მასალა და ელ. რესურსები, რაც მოსწავლის საგაკვეთილო პროცესში მაქსიმალურ ჩართულობას და ცოდნის ეტაპობრივად კონსტრუირებას შეუწყობს ხელს. მოსწავლეები აქტიურად იყენებენ ინფორმაციულ და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს სხვადასხვა საგანში
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	კურიკულუმებში ასახულია როგორც ძირითადი (გრიფირებული სახელმძღვანელო), ასევე-დამატებითი რესურსები, ინტერნეტ-პლატფორმები, რომელთა გამოყენებითაც მოსწავლე ეცნობა სასწავლო საკითხს და შეუძლია მოამზადოს შემოქმედებითი პროდუქტი. რესურსები უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. **რჩევა:** სასურველია, სამომავლოდ, უფრო მეტი მატერიალური და ელექტრონული რესურსით გამდიდრდეს კურიკულუმები.

2. **სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლას წარმოდგენილი აქვს დოკუმენტაცია,(ისგ და ალტერნატიული სასწავლო გეგმები დაწყებით და საბაზო საფეხურზე) სადაც გათვალისწინებულია ინკლუზიური და დიფერენცირებული მიდგომები, მოსწავლეთა საჭიროებები და ინტერესები, გაწერილია მოკლევადიანი და გრძელვადიანი მიზნები. სკოლაში სასწავლო პროცესი ყველა საფეხურზე ინკლუზიურია და ეფუძნება დიფერენცირებული სწავლების პრინციპებს, რაც უზრუნველყოფს თითოეული მოსწავლის შესაძლებლობების გათვალისწინებას (ჩანს კურიკულუმებში , სადაც დავალებები მორგებულია მოსწავლეთა ინტერესებსა და საჭიროებებს), მათ შორის გასაუბრებაზე ისაუბრეს პედაგოგებმა თუ

	როგორ ითვალისწინებენ მოსწავლის ინტერესებს კურიკულუმის დანერგვისას.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლის მიერ წარმოდგენილ მასალებში მკაფიოდ იკვეთება, რომ ორივე საფეხურზე შემუშავებულია ინდივიდუალური სამუშაო გეგმები, რომლებიც ორიენტირებულია მოსწავლეთა საჭიროებების, შესაძლებლობებისა და ინტერესების გათვალისწინებაზე. აღნიშნული გეგმები უზრუნველყოფს სწავლების პროცესის მიზანმიმართულად დაგეგმვას და თითოეული მოსწავლის ინდივიდუალური პროგრესის მხარდაჭერას. მასწავლებლებთან ჩატარებული ინტერვიუდან გამოიკვეთა, რომ ისინი საგაკვეთილო პროცესში აქტიურად იყენებენ დიფერენცირებული სწავლების მიდგომებს. ეს გამოიხატება სხვადასხვა სირთულის დავალებების შეთავაზებაში, მრავალფეროვანი აქტივობების დაგეგმვაში და სწავლების მეთოდების ადაპტირებაში მოსწავლეთა განსხვავებული საჭიროებების შესაბამისად. აღნიშნული პრაქტიკა ქმნის ინკლუზიურ სასწავლო გარემოს, სადაც თითოეულ მოსწავლეს ეძლევა შესაძლებლობა საკუთარი ტემპითა და შესაძლებლობების ფარგლებში მიაღწიოს სასწავლო მიზნებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
უცხოური ენები	ორივე საფეხურზე ორივე საგანში (ინგლისური ენა, რუსული ენა) გათვალისწინებულია ინკუზიური სწავლების პრინციპები. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციია (ინდივიდუალური სასწავლო გეგმები) და ინტერვიუს დროს მიღებული პასუხები გვაძლევს საშუალებას ვთქვათ, რომ უცხოური ენების კათედრის მასწავლებლები მოსწავლეებს განიხილავან სასწავლო პროცესის აქტიურ სუბიექტებად და გააზრებული აქვთ რომ მათი ერთ-ერთი მთავარი მიზანია მოსწავლის პიროვნულ ძალთა განვითარების ხელშეწყობაა. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა მოიყვანეს მაგალითები თუ როგორ აძლევენ სხვადასხვა აკადემიური მოსწრების და შესაძლებლობების მოსწავლეებს დიფერენცირებულ

	დავალებებს. სამწუხაროდ მსგავსი დავალებების არსებობა დოკუმენტალურად არ დადასტურდა. **რჩევა** საგაკვეთილო პროცესში გამოყენებული დიფერენცირებული დავალებები მატერიალური სახით შეინახონ და ამითი კათედრაზე შეიქმნება ე.წ. დავალებების ბანკი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ესთეტიკური აღზრდა	სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში (კურიკულუმის ჩარჩო, თვითშეფასების კითხვარი, კათედრის სხდომი ოქმი, მოსწავლთა ნამუშევრები, ღონისძიებები, განხორციელებული პროექტები) ჩანს რომ სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური, სასკოლო საზოგადოებასთან ინტერვიუებში იკვეთება, რომ სწავლების პროცესში, მასწავლებელები იყენებენ დიფერენცირებული სწავლების ელემენტებს. მოსწავლეებს სთავაზობენ მის საჭიროებებზე მორგებული დავალებებს, მათ შესასრულებლად აძლევენ შესაბამისის დროს. მასწავლებლებთან საუბრისას გამოიკვეთა, რომ ასევე აქცენტი კეთდება არჩევანის თავისუფლებაზე, მაგ როდესაც აქვთ კომპლექსური დავალების პროდუქტი შესაქმნელი შესაძლოა მოსწავლემ დაამზადოს მისთვის სასურველ ფორმატში (ხელით ან ელექტრონულად, ასევე პოსტერი ან ბუკლეტი და ა.შ). **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
სახელმწიფო ენა	სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და პედაგოგებთან ინტერვიუთი დასტურდება, რომ სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს.

	დოკუმენტებში წარმოდგენილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმა სსსმ მოსწავლისათვის. ინტერვიუს დროს პედაგოგებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ სასწავლო პროცესის დაგეგმვა იწყება მოსწავლის საჭიროებების დადგენით და ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინებით. სასწავლომ პროცესში იყენებენ დიფერენცირებულ მიდგომას. რჩევა: სასურველია შემაჯამებელ, სადიაგნოსტიკო, კომპლექსური ბუნების დავალებების პირობების შექმნისას, მკაფიოდ გამოიკვეთოს დიფერენცირებული ან/და ინკლუზიური მიდგომები. ასევე რემედიაციის მიდგომების სასწავლო საგაკვეთილო პროცესში ასახვა დოკუმენტუად. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
მათემატიკა	სასწავლო პროცესი ინკლუზიურია და აშკარად გამოხატულია დიფერენცირებული მიდგომების გამოყენება. კურიკულუმი ითვალისწინებს მოსწავლეთა ინდივიდუალურ შესაძლებლობებს, საჭიროებებსა და სწავლების სტილს. თემების დაგეგმვაში ჩართულია მრავალფეროვანი აქტივობები და მეთოდები, რაც უზრუნველყოფს ყველა მოსწავლის აქტიურ მონაწილეობასა და სწავლის პროცესში ჩართულობას. განსაკუთრებით კარგად ჩანს ეს კლასკომპლექტებთან მუშაობისას; **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
სპორტი	სპორტის მიმართულებით მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესი ეფუძნება მიდგომას, რომ ყველა მოსწავლე არის უნიკალური თავისი შესაძლებლობებით, ინტერესებით და საჭიროებებით. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.
ტექნოლოგიები	კურიკულუმში წარმოდგენილია მრავალფეროვანი და მოსწავლეზე მორგებული სასწავლო შინაარსი - შეთავაზებულია მოსწავლეზე მორგებული, მრავალფეროვანი სასწავლო მასალა და ელ. რესურსები, რაც მოსწავლის საგაკვეთილო პროცესში მაქსიმალურ ჩართულობას და ცოდნის ეტაპობრივად კონსტრუირებას შეუწყობს ხელს.

	ინტერვიუს დროს პედაგოგმა აღნიშნა, რომ მას მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით ცვლილებები შეაქვს დაგეგმილ აქტივობებში, სთავაზობს დიფერენცირებულ მიდგომებსა და მათთვის საინტერესო, მოდიფიცირებულ და მრავალფეროვან რესურსებს. პედაგოგმა აღნიშნა, რომ ის აძლევს მოსწავლეებს შესაძლებლობას გამოხატოს საკუთარი აზრი, ცოდნა, დამოკიდებულება მრავალი და მისთვის ეფექტური საშუალებით. სკოლას გადმოგზავნილი აქვს ინდ. სასწავლო გეგმა, განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, სადაც ჩანს თითოეული მოსწავლის ინტერესების, შესაძლებლობების და თავისებურებების გათვალისწინება.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	პედაგოგები იყენებენ დიფერენცირებული სწავლების მიდგომებს, ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს, ინკლუზიურ მიდგომებს. არმოდგენილია ისგ და ალტერნატიული სასწავლო გეგმები, ადაპტირებული დავალებები.

3. მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	დაწყებით და საბაზო საფეხურზე წარმოდგენილი განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები შეესაბამება ესგ-ით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს. განმავითარებელი შეფასების რუბრიკებში ჩანს მოლოდინები, რომლებიც მიემართება სამიზნე ცნებების მკვიდრ წარმოდგენებს, განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებში კი- შედეგების ინდიკატორებს. ეს უზრუნველყოფს მოსწავლეთა სწავლის შედეგების ობიექტურ, სამართლიან და განვითარებაზე ორიენტირებულ შეფასებას. შეფასების სისტემა უზრუნველყოფს შეფასების გამჭვირვალობას-მოსწავლეები და მშობლები ინფორმირებულნი არიან შეფასების კრიტერიუმებისა და მოლოდინების შესახებ. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები	საზოგადოებრივი მეცნიერებების ჯგუფში შემავალ საგნებში შემუშავებულია და პრაქტიკაში აქტიურად გამოიყენება როგორც განმსაზღვრელი, ისე განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც მჭიდროდ არის დაკავშირებული ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებთან. აღნიშნული რუბრიკები უზრუნველყოფს შეფასების პროცესის სტრუქტურირებას, კრიტერიუმების გამჭვირვალობასა და მოსწავლეთა მიღწევების ობიექტურ ანალიზს. სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში დეტალურად არის აღწერილი ზოგადი შეფასების რუბრიკები, როგორიცაა დისკუსიის, პრეზენტაციის, პროექტული მუშაობისა და სხვა აქტივობების შეფასების ინსტრუმენტები. აღნიშნული რუბრიკები პედაგოგების მიერ სისტემატურად გამოიყენება სასწავლო პროცესში, რაც დადასტურდა მათთან ჩატარებული ინტერვიუების დროსაც. მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ შეფასების რუბრიკების გამოყენება მათ ეხმარებათ მოსწავლეთა პროგრესის უფრო ზუსტად განსაზღვრასა და ეფექტიანი უკუკავშირის მიწოდებაში. ასევე მნიშვნელოვანია, რომ რუბრიკების შემუშავების პროცესში პედაგოგები ხელმძღვანელობენ ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტის შედეგების ინდიკატორებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
უცხოური ენები	უცხოური ენების კათედრას სამივე საფეხურზე ორივე საგანში (ინგლისური ენა, რუსული ენა) წარმოდგენილი აქვს მათ მიერ შუმუშავებული განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც შეესაბამება ესგ-ს გრძელვადიან მიზნებს და საშუალებას იძლევა, ობიექტურად შეფასდეს მოსწავლეთა შედეგები. ინტერვიუს დროს დასმულ კითხვაზე თუ რით იხელმძღვანელებენ კონკრეტული დავალებაზე მორგებულ შეფასების რუბრიკების და კრიტერიუმების შექმნის დროს, მასწავლებლებმა დაადასტურეს, რომ გაითვალისწინებენ პირველ რიგში კონკრეტული დავალების ხასიათს თუ რას ამოწმებს ეს დავალება და კიდევ იხელმძღვანელებენ ესგ-ში საგნის სტანდარტში მოცემულ ე.წ. შედეგ-ინდიკატორებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ესთეტიკური აღზრდა	სკოლის მიერ წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები შეესაბამება მოთხოვნებს, ისინი აგებულია თითოეული საფეხურის, საგნობრივ სტანდარტებზე დაყრდნობით. ირკვევა,

	რომ სწავლება და შეფასება მათთვის წარმოადგენს ერთ მთლიან, განუყოფელ პროცესს. სკოლა აქტიურად იყენებს როგორც განმსაზღვრელ ასევე განმავითარებელ შეფასებას. მასწავლებლები გასაუბრების აღნიშნავენ რომ მიმართავენ კონსტრუქტივისტულ და ინკლუზიურ მიდგომებს. ყოველი აქტივობის შემდეგ მოწავლეები იღებენ წერილობით და ზეპირ უკუკავშირს, რათა მოსწავლეებს უკეთ დაინახონ მიზნის მისაღწევად გასავლელი გზა. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
სახელმწიფო ენა	შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს. სკოლა იყენებს როგორც განმსაზღვრელ, ისე განმავითარებელ შეფასებას. ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრას მტკიცებულების სახით წარმოდგენილი აქვს განმავითარებელი და გამსაზღვრელი შეფასების რუბრიკები (როგორც ჰოლისტური, ასევე ანალიტიკური) სხვადასხვა ტიპის აქტივობებისთვის (მაგ.:ესეს შეფასების, პრეზენტაციის, ჯგუფური მუშაობის, დისკუსიის და სხვა). კომპლექსური ბუნების დავალებისთვის წარმოდგენილი აქვთ განმავითარებელი შეფასების რუბრიკა. რჩევა: სტანდარტით გათვალისწინებული მიღწევების ინდიკატორების საფუძველზე სრულად მომზადდეს შერჩეულ თემებთან ან/და საკითხებთან / ქვესაკითხებთან მიმართებით, სამიზნე ცნებაზე ორიენტირებული განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, იმ კონტექსტ-მაგალითებისათვის, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება შუალედური სასწავლო მიზანი (კომპლექსური /კომპლექსური ბუნების დავალებები ან/და სასწავლო პროექტები), აგრეთვე ყველა თემის ფარგლებში სრულად მომზადდეს ინდიკატორების საფუძველზე საკითხებთან და ქვესაკითხებთან მიმართებით განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
მათემატიკა	მოსწავლეთა შეფასების სისტემა სრულად შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს. შეფასება ორიენტირებულია სწავლის პროცესის გაუმჯობესებაზე და მოიცავს როგორც ფორმურ, ისე არაფორმალურ და

	შემაჯამებელ კომპონენტებს. სისტემაში ნათლად ჩანს უკუკავშირის მექანიზმები, რაც უწყობს ხელს მოსწავლის აკადემიური პროგრესის და პიროვნული განვითარებისთვის საჭირო უნარების ამოცნობასა და გაძლიერებას; სკოლამ წარმოადგინა საფეხურეობრივად თემის შესაბამისი შეფასების რუბრიკები, რომელსაც მოსწავლეებსაც აწვდიან და მოსწავლეებისთვის მკაფიოა შეფასების ინსტრუმენტები. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
სპორტი	შეფასების რუბრიკები შემუშავებულია სამიზნე ცნებების და მკვიდრი წარმოდგენების გათვალისწინებით. ინდიკატორებში დაკონკრეტებულია ცოდნის სავალდებულო მინიმუმი, წარმოდგენილია რამდენიმე განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა, სკოლას აქვს მზაობა, რომ შეფასება მიემართებოდეს გრძელვადიანი მიზნების ორიენტაციით. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.
ტექნოლოგიები	სკოლას სასკოლო–სასწავლო გეგმაში განსაზღვრული აქვს მოსწავლის შეფასების მიზნები და ამოცანები, რაც დაწყებით საფეხურზე კომპიუტერულ ტექნოლოგიებში განმავითარებელ შეფასებასთან ერთად მე–5 კლასის მეორე სემესტრსა და მე–6 კლასში განმსაზღვრელ შეფასებას გულისხმობს. მასწავლებელი აქტიურად მუშაობს შეფასების სქემებზე, მას გააზრებული აქვს განმავითარებელი შეფასების მნიშვნელობა მოსწავლეთა განვითარებისა და სწავლა-სწავლების პროცესის სრულყოფისთვის. განმსაზღვრელი შეფასება კი წარმოადგენს სწავლის შედეგების აღწერას საგნობრივი სტანდარტების მოთხოვნებთან და მიღწევის საერთო მაჩვენებელთან მიმართებით შეფასების ეს ფორმა მართულია მასწავლებლის მიერ და ძირითადად ხორციელდება, როგორც პროცესის შემაჯამებელი რაიმე თემის, თავის, სემესტრის, საკითხის და ა. შ. დასასრულს.

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სწავლების პროცესში მასწავლებლები იყენებენ განმავითარებელი შეფასების რუბრიკებს, როგორიცაა დავალების, პრეზენტაციის, დისკუსიის და ა.შ. სხვადასხვა აქტივობის შეფასება. **რჩევა:** სასურველია, ყველა საგანში შემუშავდეს კურიკულუმში გაწერილ კონკრეტულ დავალებებზე მორგებული რუბრიკები, რომლებშიც მკაფიოდ გამოიკვეთება კრიტერიუმების მიმართება სამიზნე ცნებებთან და გათვალისწინებული იქნება სტანდარტით მისაღწევი შედეგები.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- დაწყებითი საფეხურის კურიკულუმი;
- დაწყებითი კლასების საგნობრივი კურიკულუმები;
- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია, ოქმი, ბრძანება
- ინკლუზიური განათლების მეთოდოლოგია და ბრძანება
- კათედრებზე მოსწავლეთა შეფასების რუბრიკები
- ბლოგი-ონლაინ რესურსები

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*

☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სასკოლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. სავალდებულო თემებში მუშავდება სტანდარტით განსაზღვრული სამიზნე ცნებები და ქვეცნებები.ამის დასტურად სკოლას წარმოდგენილი აქვს განხორციელებული კომპლექსური ტიპის დავალებებისა და პროექტების პროდუქტები,ინტეგრირებული გაკვეთილების გეგმები, შეფასებები და რეფლექსიები.სასწავლო პროცესი ორგანიზებულია ისე, რომ ხელი შეუწყოს მოსწავლეთა ჩართულობას, ცოდნის ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებას. სკოლაში ხორციელდება სასწავლო პროცესის მონიტორინგი, რაც უზრუნველყოფს დაგეგმილისა დაგანხორციელებულის შესაბამისობას და საჭიროების შემთხვევაში გეგმების კორექტირებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	კათედრის მიერ სასწავლო პროცესი ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად, რაც უზრუნველყოფს სწავლების თანმიმდევრულ, მიზანმიმართულ და სტანდარტებზე ორიენტირებულ წარმართვას. მათ მიერ შემუშავებული კურიკულუმები ეფუძნება ეროვნულ სასწავლო გეგმას და ითვალისწინებს, როგორც საგნობრივ სტანდარტებს, ისე მოსწავლეთა ასაკობრივ თავისებურებებსა და ინდივიდუალურ საჭიროებებს. პედაგოგებმა ინტერვიუს დროს ისაუბრეს ,რომ სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და განხორციელებისას

	ხელმძღვანელობენ კურიკულუმით განსაზღვრული თემატიკით, შედეგებითა და შეფასების კრიტერიუმებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
უცხოური ენები	სასწავლო პროცესი ორივე საფეხურზე ორივე საგანში (ინგლისური ენა, რუსული ენა) დაგეგმილია და მიმდინარეობს შედგენილი კურიკულუმების მიხედვით. მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ კურიკულუმები მუდმივად განიცდიან მოდერნიზაციას (ცვლილებას). ინტერვიუს დროს შესრულებული დავალების აღწერით მასწავლებლების მიერ დამტკიცდა, რომ კათედრის მიერ დაგეგმილი სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ესთეტიკური აღზრდა	ორივე საფეხურზე სასწავლო პროცესი დაგეგმილია ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად. საგნობრივი კურიკულუმი მიემართება სამიზნე ცნებებს და ემსახურება მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას. საგნობრივი კურიკულუმების ჩარჩო დოკუმენტებში წარმოდგენილია სამიზნე ცნებები, საკითხთა კლასტერები, შუალედური მიზნები და რესურსები. წარმოდგენილია ასევე კომპლექსური დავალებების ნიმუშები და/ან პირობები. საგნობრივ კურიკულუმებში ჩანს თითოეული სავალდებულო თემის ფარგლებში განსაზღვრულ ძირითად საკითხებთან მიმართებით ყველა სამიზნე ცნების გააქტიურება და გარკვეული სამიზნე ცნებების კომპლექსური დავალებებით დამუშავება რაც მიუთითებს სკოლის მზაობაზე სასწავლო პროცესში უზრუნველყოს სამიზნე ცნებები და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისება საგნობრივ საკითებზე დაყრდნობით. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

სახელმწიფო ენა	სკოლის მიერ შემუშავებული დაწყებითი და საბაზო საფეხურის ქართული ენისა და ლიტერატურის კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. კურიკულუმში გაწერილია საგნის სტანდარტით გათვალისწინებული სავალდებულო თემები და სამიზნე ცნებები. სამიზნე ცნებებთან მიმართებით დაზუსტებულია სასწავლო რესურსები და ქვეცნებები. კურიკულუმების ჩარჩოებში აგრეთვე ასახულია შუალედური სასწავლო მიზნები შემოქმედებითი დავალების იდეა/პირობის დასახელებით, რომელიც თავისი შინაარსით წარმოადგენს კომპლექსური ან კომპლექსური ბუნების დავალებებს. რჩევა: სასურველია კომლექსური ბუნების დავალებები იმდენი გაიწეროს კურიკულუმში, რამდენის განხორციელებაც შესაძლებელია. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.
მათემატიკა	გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესი კარგად არის დაგეგმილი და სრულად შეესაბამება სასკოლო კურიკულუმს. საგნობრივ კურიკულუმებში ჩანს, რომ დაგეგმვა ითვალისწინებს სასწავლო წლის სტრუქტურას, თემატურ ერთეულებსა და საგნობრივი სტანდარტების მოთხოვნებს. აქტივობები მიზანმიმართულია კურიკულუმით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევაზე და თანხვედრაშია სკოლის საერთო საგანმანათლებლო ხედვასთან; მნიშვნელოვანია, რომ კათედრის შემაჯამებელი ოქმის პრიორიტეტულ საკითხად დასმულია კურიკულუმების ანალიზი - რაც პედაგოგებს ყოველი ეტაპის დასრულების შემდეგ გასცემს კითხვაზე პასუხს - სასწავლო პროცესი იყო თუ არა დაგეგმილი სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად და რა შედეგზე გავიდნენ, რა ცვლილებებია საჭირო საერთო მიზნის წარმატებით მისაღწევად. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

სპორტი	კათედრის მიერ შემუშავებული კურიკულუმებში გაწერილია მიმდინარე წლის სასწავლო პროგრამა, რესურსები და აქტივობები. მათი რეალიზების გზები ნაჩვენებია სამიზნე ცნებების სახით. აქტივობები შერჩეულია მოსწავლეთა შესაძლებლობების შესაბამისად. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია
ტექნოლოგიები	კომპიუტერული ტექნოლოგიების მასწავლებელმა ინტერვიუს დროს აღნიშნა, რომ სწავლა-სწავლების პროცესის დროს გამოყენებული აქტივობები, დავალებები და რესურსები მიმართულია მოსწავლეთა შემოქმედებითი და სააზროვნო უნარების განვითარებისკენ. პედაგოგმა დაასახელა კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის რამდენიმე მაგალითი, რა დროსაც მოსწავლეები აქტიურად ჩაერთნენ სასწავლო პროცესში, შექმნეს საინტერესო ციფრული პროდუქტები. კომპიუტერული ტექნოლოგიების მასწავლებელმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ მოსწავლეები აქტიურად იყენებენ ინფორმაციულ და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს სხვადასხვა საგანში განსხვავებული ტიპის პრობლემების გადაჭრისა და მრავალფროვანი პროდუქტის შექმნისთვის.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სასწავლო პროცესი დაგეგმილია და ძირითადად ხორციელდება კურიკულუმის შესაბამისად (საჭიროების შემთხვევაში ხდება მოდიფიცირება). გრძელვადიან სამიზნე ცნებებზე დაყრდნობით, სავალდებულო თემების ფარგლებში, შუალედური მიზნების დახმარებით მუშავდება კურიკულუმში გაწერილი საკითხები. **რჩევა:** სასურველია, კურიკულუმში გაიწეროს იმდენი დავალება, რამდენსაც რეალურად განახორციელებენ.

2. **სკოლა მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე**

სკოლის საზოგადოებაში გამოიყენება კომუნიკაციის მრავალი საშუალება - როგორც ელექტრონული, ისე პირდაპირი ურთიერთობა. სასკოლო საზოგადოებაში ჩამოყალიბებული თანამშრომლური გარემო საშუალებას აძლევს სკოლას, ,

დაადგინოს სკოლის მოთხოვნილებები, გამოავლინოს არსებული გამოწვევები, საჭიროებები სასაზოგადოების ინიციატივები ან წარმოშობილი სირთულები. სასკოლო საზოგადოების ჩართულობით განიხილება აქტუალური საკითხები, აფასებენ წარმატების მიღწევის პირობებს და ვეძებენ პრობლემების გადაჭრის გზებს. ამ მიზნით იყენებენ ინფორმაციის შეგროვების სხვადასხვა მეთოდებს: კვლევებს, ინდივიდუალურ გასაუბრებებს, კითხვარებსა და სხვა ინსტრუმენტებს. ასეთი მიდგომა წარმოადგენს სკოლის საგანმანათლებლო პროცესის მნიშვნელოვან კომპონენტს და სკოლა აჩვენებს საჭიროებების გამოვლენასა და რეაგირების მზაობას, როგორც სასწავლო, ასევე აღმზრდელობითი მიმართულებით. საზოგადოების მხარდაჭერის პროცესი აღწერილია სხვადასხვა ოფიციალურ დოკუმენტაციაში.

3. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი. გასაუბრებისას მასწავლებლებმა აღნიშნეს რომ შეფასებისას სხვადასხვა ინსტრუმენტებს იყენებენ, მოსწავლეებისთვის შეფასების კრიტერიუმები წინასწარაა ცნობილი.ყველა მოსწავლე ფასდება თანაბარ პირობებში,**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	კათედრის მიერ წარმოდგენილი შეფასების სისტემა ხასიათდება ვალიდურობით, რაც გამოიხატება იმაში, რომ შეფასება უშუალოდ არის დაკავშირებული სასწავლო მიზნებთან და ეროვნულ სასწავლო გეგმაში განსაზღვრულ შედეგებთან. აღნიშნული შესაბამისობა უზრუნველყოფს, რომ შეფასება ასახავდეს მოსწავლეთა რეალურ ცოდნასა და უნარებს და იყოს მიზანმიმართული. სისტემა ასევე სანდო და ობიექტურია, რაც უზრუნველყოფილია მრავალფეროვანი შეფასების ინსტრუმენტების გამოყენებით, როგორიცაა რუბრიკები, ტესტები, პროექტები და დაკვირვება. ეს მრავალფეროვნება ამცირებს სუბიექტური შეფასების რისკს და ზრდის შედეგების სიზუსტესა და სანდოობას. ამასთან, შეფასების სისტემა სამართლიანია, რადგან ითვალისწინებს მოსწავლეთა ინდივიდუალურ შესაძლებლობებსა და საჭიროებებს, მათ შორის სსმ მოსწავლეებისთვის ადაპტირებული მიდგომების გამოყენებას. აღნიშნული პრინციპების დაცვა ხელს უწყობს ინკლუზიური და

	მხარდამჭერი საგანმანათლებლო გარემოს შექმნას, სადაც ყველა მოსწავლეს აქვს საკუთარი შესაძლებლობების წარმოჩენისა და განვითარების თანაბარი შანსი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
უცხოური ენები	სკოლის მიერ წარმოდგენილი განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები შემუშავებულია გასავლელი თემების შესაბამისად და შეესაბამება ესგ-ს მიერ განსაზღვრულ მისაღწევ შედეგებსა და სამიზნე ცნებებს. სკოლის მიერ შემუშავებული შეფასების რუბრიკები და მასწავლებლების პასუხები ინტერვიუს დროს თუ როგორ აფასებენ მოსწავლეებს გვაძლევს საშუალებას დადებითად შევაფასოთ ეს ინდიკატორი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ესთეტიკური აღზრდა	შეფასების რუბრიკები ესთეტიკური აღზრდის საგნებში იძლევა იმის თქმის საშუალებას, რომ ინსტრუმენტი არის ვალიდური-ფასდება ის, რისი შეფასებაც არის დაგეგმილი, შეფასების სისტემის გამჭვირვალობას და ობიექტურობას ადასტურებს ის გარემოება, რომ მასწავლებლები შეფასების რუბრიკებს წინასწარ აცნობენ მოსწავლეებს, თვალსაჩინოდ აკრავენ რუბრიკებს საკლასო ოთახში, რათა მოსწავლეს ჰქონდეს საშუალება რუბრიკაზე დაყრდნობით მოამზადოს დავალება. მოსწავლე ფასდება არა მხოლოდ სწავლების შედეგი, არამედ სწავლის პროცესიც. ამიტომ მოქმედებს, როგორც განმავითარებელი, ამასთანავე განმსაზღვრელი 10 ქულიანი შეფასების სისტემა. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი. შეფასების სისტემა აღწერილია სასკოლო სასწავლო გეგმით. აღნიშნული ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული პირისათვის. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

სახელმწიფო ენა	მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგად და სკოლის მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების დოკუმენტის თანახმად ორივე საფეხურზე შერჩეულია შეფასების პირველი მოდელი, რომელიც გულისხმობს მოსწავლეთა მრავალკომპონენტიან შეფასებას. სკოლაში აგრეთვე არსებობს ვერიფიკაციის დოკუმენტი, სადაც ასახულია ინფორმაცია არსებული შეფასების სისტემის თავისებურებებზე. მასწავლებლებთან ინტერვიუდან იკვეთება, რომ გაკვეთილზე განხორციელებული ცალკეული აქტივობები შესაბამისი კრიტერიუმით ფასდება, რომელებზეც მოსწავლეები წინასწარ არიან ინფორმირებულნი. აქედან გამომდინარე დგინდება, რომ შეფასების სისტემა არის ვალიდური და გამჭვირვალე. სასწავლო პროცესში სკოლა ზრუნავს ობიექტურობასა და სამართლიანობაზე. რჩევა: სასურველია შეფასების ფორმები გაიწეროს კონკრეტულ დავალებებზე. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
მათემატიკა	შეფასების სისტემა პასუხობს ვალიდურობის, გამჭვირვალობის, სანდოობის, ობიექტურობისა და სამართლიანობის პრინციპებს. შეფასების კრიტერიუმები წინასწარ არის განსაზღვრული და მოსწავლეებისთვის ხელმისაწვდომია, რაც უზრუნველყოფს პროცესის სიცხადეს და ნდობას. გამოყენებულია მრავალმხრივი შეფასების ფორმები, რაც ხელს უწყობს მოსწავლის ცოდნის, უნარებისა და პროგრესის სრულფასოვან ასახვას. შეფასება ასევე მოიცავს განმავითარებელ უკუკავშირს, რაც ზრდის სწავლის მოტივაციას. გასაუბრებისას პედაგოგებმა აღნიშნეს და შემაჯამებელი დავალებების ნიმუშებშიც მკაფიოდ ჩანს, რომ წინასწარ (დავალების შესრულებამდე) მოსწავლეს სრულფასივანი ინფორმაცია მიეწოდება შეფასების კრიტერიუმებთან დაკავშირებით. მნიშვნელოვნად ხაზგასასმელია სადიაგნოსტიკო წერები ყველა საფეხურზე, დეტალური ანალიზითა და უკუკავშირით. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

სპორტი	წარმოდგენილი შეფასების რუბრიკების მიხედვით, შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.
ტექნოლოგიები	წარმოდგენილი დოკუმენტაცია და ინტერვიუ ადასტურებს, რომ შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი. დავალებებს ახლავს შეფასების კრიტერიუმები, შემაჯამებელ დავალებებში მითითებულია ეროვნული სასწავლო გეგმით მისაღწევი შედეგები, რაც ადასტურებს შეფასების ვალიდურობას. ინტერვიუს დროს დადასტურდა, რომ შეფასების რუბრიკები წინასწარ ცნობილია მოსწავლეებისათვის, რაც გამჭირვალეს ხდის შეფასებას.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	მასწავლებლები იყენებენ შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტს. წარმოდგენილია მოსწავლეთა წარმატების ამსახველი განმავითარებელი შეფასების რუბრიკების ნიმუშები. **რჩევა:** სასურველია, ყველა საგანში აწარმოონ კონკრეტულ დავალებაზე მორგებული რუბრიკები, რომლებშიც მკაფიოდ გამოიკვეთება კრიტერიუმების მიმართება სამიზნე ცნებებთან და გათვალისწინებული იქნება სტანდარტით მისაღწევი შედეგები.

4 სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი: ორღულის საჯარო სკოლაში შეფასების სისტემის ვერიფიკაცია ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტისა და კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის შესაბამისად. ვერიფიკაციის პროცესში ჩართულნი არიან საგნობრივი კათედრები და ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი. მექანიზმი მოიცავს შეფასების ინსტრუმენტების (ტესტები, რუბრიკები, კომპლექსური დავალებები) წინასწარ განხილვასა და ვალიდურობის დადგენას. შეფასების ობიექტურობა

დასტურდება მოსწავლეთა ნაშრომების ანალიზით, დიაგნოსტიკური წერების შედეგებითა და მასწავლებელთა რეფლექსიებით, რაც უზრუნველყოფს შეფასების სისტემის გამჭვირვალობასა და ვალიდურობას.

5. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით: სკოლაში მოქმედებს მონაცემთა აღრიცხვისა და არქივირების მოწესრიგებული სისტემა. შეფასებასთან დაკავშირებული ყველა მნიშვნელოვანი დოკუმენტი, მათ შორის: შემაჯამებელი დავალებების უწყისები, მოსწავლეთა ნაშრომები (ელექტრონული ან მატერიალური სახით), დიაგნოსტიკური წერის ანალიზის ფორმები და კათედრის ოქმები, ინახება სკოლის არქივში კანონმდებლობით დადგენილი ვადით (არანაკლებ 3 წლისა). ინფორმაციის ციფრული დამუშავება ხდება ელექტრონული ჟურნალის მეშვეობით, ხოლო მატერიალური მტკიცებულებები დაცულია სტრუქტურული ერთეულების (კათედრები, ადმინისტრაცია) მიერ განსაზღვრულ სივრცეში, რაც უზრუნველყოფს მონაცემთა უსაფრთხოებასა და ხელმისაწვდომობას მონიტორინგის პროცესში.

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი და ბრძანება
2. დაწყებითი საფეხურის კურიკულუმი და საგნობრივი კურიკულუმები
3. სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები და ბრძანება
4. 2025-2026 წლის სამოქმედო გეგმა
5. კათედრის სხდომის ოქმები
6. მოსწავლეთა შეფასების მონაცემთა ბაზა/არქივი (მატერიალური და ელექტრონული ჟურნალი);
7. შემაჯამებელი და დიაგნოსტიკური სამუშაოების ანალიზის ფორმები.

2.2.2. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია შესაბამისი რესურსით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლაში საბუნებისმეტყველო მიმართულებით სასწავლო პროცესი ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე საგანმანათლებლო რესურსების გამოყენებით.სასწავლო პროცესში გამოიყენება სახელმძღვანელოები, სამუშაო რვეულები და მასწავლებლის მეთოდური

	გზამკვლევები, რომლებიც სრულად შეესაბამება ესგ-სა და საგნობრივ კურიკულუმებს. პედაგოგები დამხმარე რესურსებად იყენებენ ენციკლოპედიებსს, ატლასებს, PP პრეზენტაციებს, ცხრილებს. ტელესკოლისა და სილქნეტის საშინაო სკოლის გაკვეთილებს, ვირტუალურ ლაბორატორიას, მოდელებს, ტაბულებს, რეაქტივებსა და ხელსაწყოებს.აღნიშნული რესურსები გამოიყენება თეორიული მასალის უკეთ გასააზრებლად, ექსპერიმენტული და კვლევითი აქტივობების განხორციელებისთვის, ასევე მოსწავლეთა დაკვირვებისა და ანალიზის უნარების განვითარებისთვის.სასწავლო რესურსები ხელს უწყობს ინტერაქტიულ სწავლებასა და დიფერენცირებული სწავლების მიდგომების გამოყენებას. მასწავლებლები რესურსებს მიზნობრივად არჩევენ გაკვეთილის მიზნების, თემის სპეციფიკისა და მოსწავლეთა საჭიროების გათვალისწინებით, რაც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ეფექტიანობას და სწავლის შედეგების მოღწევას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საზოგადოებრივი მეცნიერებების ჯგუფში ორივე საფეხურზე შემავალი საგნების კურიკულუმით განსაზღვრულია ძირითადად გრიფირებული სახელმძღვანელოების გამოყენება, როგორც ძირითადი სასწავლო რესურსი. თუმცა, პედაგოგებთან ჩატარებული ინტერვიუდან გამოიკვეთა, რომ ისინი სასწავლო პროცესში აქტიურად იყენებენ მრავალფეროვან დამატებით რესურსებს, როგორიცაა თემატური რუკები, ილუსტრაციები, ვიდეომასალები, პრეზენტაციები, ინტერნეტ რესურსები და სხვადასხვა ტიპის პრაქტიკული თუ შემოქმედებითი დავალებები ,ასვე აღნიშნეს, რომ აღნიშნული რესურსები შერჩეულია მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებებისა და ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით, რაც მნიშვნელოვნად ზრდის მათ ჩართულობას, ინტერესსა და სასწავლო მოტივაციას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

უცხოური ენები	ორივე საგანში (ინგლისური ენა, რუსული ენა) კურიკულუმები შემუშავებულია გრიფირებული სახელმძღვანელოების მიხედვით. აგრეთვე კათედრა მრავლად იყენებს სხვადასხვა ტიპის ელექტრონულ რესურსებს (ლინკები მოცემულია კურიკულუმებში) **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ესთეტიკური აღზრდა	დაწესებულების მიერ წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმებში წარმოდგენილია საგანმანათლებლო რესურსები (გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოები, ელექტრონული ლინკები) გასაუბრების შედეგად აღინიშნა, რომ სასწავლო პროცესში მასწავლებლები და მოსწავლეები იყენებენ სხვადასხვა მატერიალურ თუ ელექტრონულ რესურსებს. სკოლაში ხდება რესურსების იდენტიფიცირება და ეფექტურად გამოყენება, რომელიც ემსახურება სწავლისა და სწავლების ხარისხის პოზიტიურ მიღწევებს, წარმოდგენილი დამატებითი რესურსები ორიენტირებულია მოსწავლის ინტერესებსა და შესაძლებლობებზე, ხელს უწყობს მოსწავლის სწავლა-სწავლების აქტიურ პროცესში ჩართვას და უზრუნველყოფს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სწავლის შედეგების მიღწევას. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
სახელმწიფო ენა	ქართული ენისა და ლიტერატურის კურიკულუმში ასახულია როგორც ძირითადი,აგრეთვე დამხმარე საგანმანათლებლო რესურსები ბმულების სახით; ძირითადი სასწავლო რესურსი არის გრიფირებული ან შეთანხმებული საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან, კანონმდებლობით დადგენილი წესით. მასწავლებლებთან ინტერვიუდან ირკვევა, რომ რესურსების შერჩევა ხდება აქტივობების, შუალედური და გრძელვადიანი მიზნების შესაბამისად. რჩევა: ყველა საფეხურის კურიკულუმებში სრულად შეიტანონ ის სასწავლო რესურსები, რასაც იყენებენ. ასევე სასურველია რესურსების მრავალფეროვნება მორგებული. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

მათემატიკა	სასწავლო პროცესში მიზანმიმართულად გამოიყენება კურიკულუმით განსაზღვრული როგორც ძირითადი, ასევე დამხმარე სასწავლო რესურსები. რესურსების შერჩევა და გამოყენება ემსახურება სწავლის შედეგების მიღწევას, ხელს უწყობს მოსწავლეთა ჩართულობას და სწავლა-სწავლების პროცესის გამრავალფეროვნებას. მასწავლებელი ეფექტურად აერთიანებს ბეჭდურ, ციფრულ და ვიზუალურ მასალებს, რაც ზრდის სწავლების ხარისხსა და მოსწავლის მოტივაციას; სასურველი იქნება ციფრული რესურსების უფრო მრავალფეროვანი ინსტრუმენტების გამოყენება (მაგალითად: GeoGebra), რაც მეტად დააინტერესებს მოსწავლეებს და უფრო მკაფიოს გახდის საგნის წავლების საჭიროებას. თუმცა ეს სკოლის სუსტი მხარე ნამდვილად არ არის და მეტიც, კათედრა შემაჯამებელ ოქმშიც განიხილავს და პრიორიტეტულ მიმართულებად ირჩევს მრავალფეროვანი რესურსების გამოყენებას მოსწავლეთა მოტივირების მიზნით. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
სპორტი	კურიკულუმში გაწერილია სავალდებულო და დამხმარე რესურსები, რომლებიც გამოყენებულია სასწავლო პროცესში სასწავლო შედეგის მისაღწევად. სპორტული აქტივობების თვალსაჩინოებისთვის მასწავლებლის მიერ გამოყენებულია, ვიდეო რესურსი, რომელიც წარმოდგენილია ჰიპერლინკების სახით. რაც იძლევა სასწავლო პროცესის ხარისხიანად და მრავალფეროვნად წარმართვის საშუალებას. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.
ტექნოლოგიები	კურიკულუმში წარმოდგენილია მრავალფეროვანი და მოსწავლეზე მორგებული სასწავლო მასალა და ელექტრონული რესურსები; კომპიუტერული სასწავლო-საგანმანათლებლო თამაშები; ინტერნეტრესურსები სასწავლო მიზნით შექმნილი მულტიმედიური პროდუქტები, განხორციელებული კომპლექსური ტიპის დავალება, მოსწავლეთა ნამუშევრები -პრეზენტაცია Power Point-ის გამოყენებით, რაც ზრდის მოსწავლის მოტივაციას, ხელს უწყობს საგაკვეთილო პროცესში მაქსიმალურ ჩართულობას, და ცოდნის ეტაპობრივად კონსტრუირებას.

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სასწავლო პროცესში გამოიყენება გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოები, დამატებითი მატერიალური, აუდიო და ვიდეო რესურსები **რჩევა:** სასურველია, საგნობრივ კურიკულუმებში გაწერილი თემების დამუშავების დროს მასწავლებლებმა გამოიყენონ მრავალფეროვანი, დამხმარე, მატერიალური და ელექტრონული რესურსები.

2. **სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლა რეგულარურად ახორციელებს დამხმარე სასწავლო რესურსების შინაარსობრივ, მეთოდურ და პრაქტიკულ შემოწმებას, რათა ისინი შესაბამისი იყოს კურიკულუმის მიზნებთან და საგნობრივ სტანდარტებთან, საჭიროების შემთხვევაში რესურსები განახლდება და ადაპტირდება, რაც უზრუნველყოფს მათ ეფექტურ გამოყენებას სასწავლო პროცესში. ვალიდაციის პროცესში მონაწილეობენ პედაგოგები და ადმინისტრაცია. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ნათლად იკვეთება, რომ სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსების ვალიდაციას, რაც გულისხმობს მათი შესაბამისობის განსაზღვრას სასწავლო მიზნებთან, ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებთან და მოსწავლეთა საჭიროებებთან. ვალიდაციის პროცესში ჩართულია კათედრის ყველა წევრი და ადმინისტრაციის წარმომადგენლები, რაც უზრუნველყოფს რესურსების მრავალმხრივ შეფასებას, ხარისხის კონტროლსა და გამოყენების მიზნობრიობას. აღნიშნული თანამშრომლობითი მიდგომა ზრდის რესურსების სანდოობას და ეფექტიანობას სასწავლო პროცესში. ამასთან, პედაგოგები საჭიროების შემთხვევაში ახდენენ რესურსების ადაპტირებას კონკრეტული კლასის ან ინდივიდუალური მოსწავლის საჭიროებების მიხედვით, მათ შორის სსმ მოსწავლეთათვის. ეს პრაქტიკა ხელს უწყობს ინკლუზიური და

	მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო გარემოს შექმნას, სადაც თითოეულ მოსწავლეს ეძლევა განვითარების თანაბარი შესაძლებლობა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებული**
უცხოური ენები	ორივე საგანში (ინგლისური ენა, რუსული ენა) კურიკულუმები შემუშავებულია გრფირებული სახელმძღვანელოების მიხედვით. აგრეთვე კათედრა მრავლად იყენებს სხვადასხვა ტიპის ელექტრონულ რესურსებს (ლინკები მოცემულია კურიკულუმებში). ინტერვიუს დროს დასმულ კითხვაზე თუ რა პრინციპებით და როგორ ადგენენ დამატებითი სასწავლო რესურსების ჩამონათვალს მასწავლებლებმა გასცეს პასუხი რომ სასწავლო წლის განმავლობაში ერთად იკრიბებიან და მოსწავლეების ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით ადგენენ ამა თუ იმ დამხმარე რესურსის შესაბამისობას ესგ-ის საგნობრივ სტანდარტთან (თემა, მიზნები და ა.შ.) **რჩევა:** სასურველია კათედრამ სასწავლო წლის დასაწყისში შეადგინოს ცალკე დოკუმენტად ან ცალკე სიით დამატებითი დამხმარე რესურსების ჩამონათვალი, რომელიც წარდგენილი იქნება კათედრის პირველ ოქმის დანართად და სკოლის/ ადმინისტრაციის სათანადო პირმა გამოიკვლიოს ამ რესურსების ვალიდობა / ან თავად კათედრამ დაადგინოს ამ რესურსების ვალიდობა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ესთეტიკური აღზრდა	დაწესებულების მიერ მოწოდებულ დოკუმენტაციაში ასევე გასაუბრების დროს წარმოდგენილ ფაქტებზე დგინდება, რომ სკოლა სასწავლო წლის დასაწისში ირჩევს ძირითად თუ დამხმარე რესურსებს, არსებული რესურსები საჯაროა და ხელმისაწვდომია მასწავლებლებისთვის, მოსწავლეებისთვის და სკოლაში დასაქმებული სხვა პერსონალისთვის. რესურსები გამოიყენება შესაბამის სასწავლო და არაფორმალურ

	გარემოში მიზნობრივად, სკოლა უზრუნველყოფს რესურსების შევსებას, განახლებას და ხელმისაწვდომობას. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
სახელმწიფო ენა	დამხმარე სასწავლო რესურსების მიმოხილვა ხარისხიანი განათლების უზრუნველყოფის მნიშვნელოვანი ასპექტია. სკოლამ უნდა გამოიყენოს სხვადასხვა მეთოდი დამხმარე რესურსების შესარჩევად, და შესაფასებლად, რათა უზრუნველყოს, რომ ისინი აკმაყოფილებდნენ მოსწავლეებისა და საგნობრივი სასწავლო გეგმის საჭიროებებს. როგორც მასწავლებლებთან ინტერვიუდან გამოვლინდა, ამ საკითხების განხილვა პერმანენტულად ხორციელდება კათედრის შეხვედრებზე. გამოიყენება მხოლოდ ის მასალები, რომლებიც შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტებს, ასაკობრივ თავისებურებებსა და სწავლების მიზნებს. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
მათემატიკა	სკოლაში დამხმარე სასწავლო რესურსის შერჩევისა და გამოყენების პროცესი ვალიდაციის ეტაპს გადის. არსებობს მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს რესურსების შინაარსობრივ შესაბამისობას ეროვნულ სასწავლო გეგმასთან, საგნობრივ სტანდარტებთან და ასაკობრივ თავისებურებებთან. რესურსები შეირჩევა გააზრებულად, გათვალისწინებულია მათი აქტიკური ღირებულება, აკადემიური სიზუსტე და გამოყენების ეფექტიანობა სასწავლო პროცესში. განსკუთრებით აქტიურად არის კურიკულუმებში განსაზღვრული ხანის აკადემიის, ტელესკოლის, იუთუბის ელექტრონული რესურსები დასახული მიზნის მისაღწევად. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
სპორტი	დამხმარე საგანმანათლებლო რესურსების ვალიდაცია ხორციელდება კათედრების წევრების შეთანხმების საფუძველზე სასწავლო წლის დასაწყისშივე. სკოლა ირჩევს, როგორც გრიფირებულ სახელმძღვანელოებს, ასევე სამინისტროს მიერ მოწოდებულ რესურსებს.

	ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.
ტექნოლოგიები	ტექნოლოგიებში გამოყენებული სასწავლო მასალა და ელექტრონული რესურსები, კომპიუტერული სასწავლო-საგანმანათლებლო თამაშები შეთანხმებულია კათედრასთან, გამოიყენება მხოლოდ ის მასალები, რომლებიც შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტებს, ასაკობრივ თავისებურებებსა და სწავლების მიზნებს.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	ალიდაციის პროცესში, დამხმარე სასწავლო რესურსები შეირჩევა შეთანხმებულად, დაწყებითი კლასების კათედრაზე, მოსწავლეთა საჭიროებებისა და ინტერესების გათვალისწინებით ხდება რესურსების განახლება, ადაპტირება.

3. კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით

მცირეკონტინგენტიანი სკოლა უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა.

ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/ მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლაში საბუნებისმეტყველო საგნების სწავლება მიმდინარეობს არსებული რესურსების ფარგლებში. სპეციალურად აღჭურვილი საბუნებისმეტყველო ლაბორატორია სკოლას არ გააჩნია, თუმცა მასწავლებლები იყენებენ ალტერნატიულ რესურსებს-თვალსჩინოებებს, მარტივ ექსპერიმენტებს,, ციფრულ მასალებს და ვიდეორესურსებს, რაც ნაწილობრივ უზრუნველყოფს პრაქტიკული უნარების განვითარებას. რესურსების სიმცირე გარკვეულწილად ზღუდავს საბაზო საფეხურზე მოსწავლეთა ექსპერიმენტულ ჩართულობასა და კვლევითი უნარების განვითარებბას. სკოლის მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის მიხედვით, დაწესებულება გეგმავს 1 წლის ვადაში (24.03. 2026 – 24.03. 2027) საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის სრულად აღჭურვას საჭირო

	მატერიალური რესურსით და გამწოვი კარადის დამონტაჟებას სასწავლო გარემოს გაუმჯობესების მიზნით. აღნიშნული პროცესი მიუთითებს, რომ სკოლა სწორად გეგმავს და ახორციელებს რესურსებით უზრუნველყოფას და მიდის სრული შესაბამისობის მიღწევისკენ. **რეკომენდაცია:** მიზანშეწონილია, რომ სკოლამ უზრუნველყოს საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის მოწყობა, რომელის დააკმაყოფილებს უსაფრთხოებისა და საგანმანათლებლო სტანდარტებს. სასურველია საბაზისო აღჭურვილობის შეძენა(ლაბორატორიული მაგიდები, ხელსაბანი, უსაფრთხოების საშუალებები, დახურული კარადები...) რათა დაცული იქნას უსაფრთხოება, ჰიგიენა და პრაქტიკული მუშაობის პირობები. **ინდიკატორი მეტწილ შესაბამისობაშია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციასა და პედაგოგებთან ჩატარებული ინტერვიუების შედეგად გამოიკვეთა, რომ სკოლას გააჩნია შესაბამისი მატერიალური რესურსები, რომლებიც უზრუნველყოფს კურიკულუმით გათვალისწინებული მიზნების მიღწევას .სასწავლო პროცესში ხელმისაწვდომია ისეთი რესურსები, როგორიცაა ინტერნეტ კავშირი, თემატური რუკები, სხვადასხვა შინაარსის ატლასები და სხვა დამხმარე სასწავლო მასალები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
უცხოური ენები	სკოლას და კერძოდ უცხოური ენების კათედრას გააჩნია შესაბამისი მატერიალური რესურსი რომ უზრუნველყონ კურიკულუმებში გათვალისწინებული მიზნების მიღწევა. (ელ.ტექნიკა, ინტერნეტი და ა.შ.). **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

ესთეტიკური აღზრდა	დაწესებულების მიერ მოწოდებულ დოკუმენტაციაში ვლინდება რომ სკოლას აქვს შესაბამისი რესურსები, გასაუბრების პროცესში აღინიშნა, რომ მასწავლებლები ინტენსიურად იყენებენ გრიფმინიჭებულ სახელმძღვანელოებს, ინტერნეტ რესურსებს, იყენებენ საკუთარ და მოსწავლეების შემოქმედებით უნარებს და ქმნიან რესურსებს, რომლებიც მოსწავლეთა ასაკისა და საგნობრივი მასალის შესაბამისად არის შედგენილი. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
სახელმწიფო ენა	თვითშეფასების კითხვარითა და პედაგოგებთან ინტერვიუთი გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესის ეფექტიანად წარმართვა და კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსებითა და მოსწავლეთა რაოდენობის შესაბამისი კლასის ინფრასტრუქტურით. საკლასო სივრცე აღჭურვილია საჭირო ინვენტარით, რაც საშუალებას აძლევს მოსწავლეებს აქტიურად ჩაერთონ სწავლის პროცესში. ინტერვიუდან ჩანს, რომ მასწავლებლები სასწავლო პროცესში საკმაოდ ხშირად იყენებენ ციფრულ რესურსებს. (პრეზენტაციისთვის, საკლუბო მუშაობისას). **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
მათემატიკა	სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია საჭირო მატერიალურ რესურსთა სრულყოფილმა კომპლექტაციით, რომელიც ემთხვევა კურიკულუმში გათვალისწინებულ სწავლის შედეგებს. სკოლაში საგანმანათლებლო გარემო მოწყობილია ისე, რომ მოსწავლეთა რაოდენობა არ აღემატება რეკომენდებულ ზღვარს, რაც ხელს უწყობს ინდივიდუალურ მიდგომებსა და ხარისხიან სასწავლო პროცესს. რესურსების ეფექტიანი გამოყენება უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების რეალიზაციას და ხელს უწყობს მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობას. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
სპორტი	სკოლა მოსწავლეთა ზღვრული ადგილების რაოდენობის მიხედვით უზრუნველყოფს შესაბამის მატერიალურ რესურსს: უსაფრთხო და შესაბამისი ინვენტარით აღჭურვილ სპორტულ დარბაზს და გარე სივრცეში განთავსებულ სპორტულ მოედანს. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

ტექნოლოგიები	ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას; კომპიუტერული ლაბორატორია აღჭურვილია პერსონალური კომპიუტერებით, ლეპტოპებით და პროექტორებით, რაც იძლევა საშუალებას სკოლამ განახორციელოს კურიკულუმით განსაზღვრული ვალდებულებები. ინტერვიუდან ჩანს, რომ მასწავლებელი სასწავლო პროცესში საკმაოდ ხშირად იყენებს ციფრულ რესურსებს. სკოლაში მოსწავლეებისა და პერსონალის მხრივ გამოიყენება პროექტორები - პრეზენტაციის, ფილმებისა და სლაიდშოუს ჩვენებისას.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სასწავლო პროცესის ეფექტიანად წარმართვა და კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა მეტ-ნაკლებად უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსებით. კლასებში გათვალისწინებულია მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა, სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეებს ძირითადი და დამხმარე სასწავლო მატერიალური და ციფრული რესურსებით.

4. **სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი**

სასწავლო დაწესებულებაში დასაქმებულია პროფესიონალი მასწავლებლები, რომელთა კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ პოზიციებს. მათი შერჩევის პროცესი ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის, საგანმანათლებლო სისტემის რეგულაციებისა და სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის გათვალისწინებით. სკოლაში მოღვაწეობს 7 წამყვანი და 13 უფროსი მასწავლებელი, ყველა მათგანი წარმატებით უზრუნველყოფს კურიკულუმის ხარისხიან განხორციელებას. ასევე, სკოლას ჰყავს დოქტორის ხარისხის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- დაწყებითი საფეხურის კურიკულუმი და საგნობრივი კურიკულუმი
- სტრუქტურული ერთეულების ფუნქციბი და ბრძანება
- მატერიალური და არამატერიალური რესურსებით ექსპლოატაციისა და სარგებლობის წესი (ჩაშენებულის სკოლის უსაფრთხოების პოლიტიკის დოკუმენტში) და სამეურვეოს ოქმი
- სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი და ბრძანება
- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა;
- გასაუბრება, კონკურსი, გასუბრების კომისიის სხდომის ოქმები;
- პანდუსის პროექტი, ხარჯთაღრიცხვა და ნახაზი.
- თანამშრომლისდოქტორის დიპლომი
- 2025-2026 სამოქმედო გეგმა
- სკოლის პერსონალის მონაცემები შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1. მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად: ორღულის საჯარო სკოლაში კურიკულუმის მონიტორინგი ეფუძნება მასწავლებელთა ჩართულობით შემუშავებულ „კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიას“. პროცესი რეგლამენტირებულია და მოიცავს კონკრეტულ ინსტრუმენტებს: სემესტრულ ანგარიშებს, კათედრებზე დამტკიცებულ შეფასების რუბრიკებსა და ვერიფიკაციის მექანიზმებს. მასწავლებლები რეგულარულად წარადგენენ რეფლექსიებსა და ანგარიშებს კურიკულუმის განხორციელების შესახებ, რაც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის შესაბამისობას წინასწარ დასახულ გეგმებთან. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

2. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას: სკოლაში მონიტორინგი არ ატარებს მხოლოდ ფორმალურ ხასიათს; ის მიმართულია ხარვეზების იდენტიფიცირებასა და სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაზე. მოსწავლეთა შედეგების ანალიზი საშუალებას გვაძლევს დავინახოთ კურიკულუმის ძლიერი და სუსტი მხარეები. პრობლემების გადაჭრის ეფექტური გზაა მასწავლებელთა ურთიერთდასწრება და „კრიტიკული მეგობრის“ პოზიციიდან გაკეთებული ანალიზი. ეს პრაქტიკა ეხმარება სკოლას სირთულეების დროულ დაძლევაში, გამოცდილების გაზიარებასა და სასწავლო მეთოდოლოგიის ოპერატიულ კორექტირებაში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

3. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას: მონიტორინგის სისტემა ორიენტირებულია პედაგოგთა პროფესიულ მხარდაჭერაზე. სკოლაში მოქმედი „ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი“ ახორციელებს გაკვეთილებზე დაკვირვებას, რასაც თან სდევს კონსტრუქციული უკუკავშირი. ეს პროცესი ეხმარება მასწავლებელს საკუთარი პრაქტიკის რეფლექსიაში, სირთულეების აღმოფხვრასა და პროფესიულ ზრდაში. საჭიროების შემთხვევაში, ჯგუფი გეგმავს სამუშაო შეხვედრებსა და კონსულტაციებს, რაც ქმნის ურთიერთდახმარებასა და თანამშრომლობაზე დაფუძნებულ სასკოლო გარემოს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. ორღულის საჯარო სკოლის კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
2. ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი და დამტკიცების ბრძანება;
3. ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება და უკუკავშირის დოკუმენტაცია (გაკვეთილის გეგმები, რეფლექსიები);
4. კათედრის ოქმები კურიკულუმის განხორციელების ანგარიშებისა და მონიტორინგის შესახებ;
5. ვერიფიკაციის დოკუმენტები და შეფასების ინსტრუმენტები (ჩაშენებული სასკოლო სასწავლო გეგმაში);
6. დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები;

7. კათედრისა და ხარისხის ჯგუფის სამოქმედო გეგმები;
8. მშობლებთან შეხვედრის აქტები და პედსაბჭოს ოქმები.

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1. მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს: ორღულის საჯარო სკოლაში მოსწავლის შეფასება არ შემოიფარგლება მხოლოდ ერთი კრიტერიუმით; ის წარმოადგენს კომპლექსურ პროცესს, რომელიც მრავალფეროვან წყაროებს ეყრდნობა. შეფასებისას გამოიყენება როგორც განმსაზღვრელი, ისე განმავითარებელი რუბრიკები, რომლებიც მორგებულია სხვადასხვა აქტივობაზე: შემოქმედებითი დავალებები, პროექტები, ესეები, პრეზენტაციები, ტესტები და ლაბორატორიული კვლევები. თითოეული კათედრა, საგნობრივი კონტექსტის გათვალისწინებით, ადგენს და ნერგავს ინსტრუმენტებს, რომლებიც საშუალებას იძლევა მოსწავლის უნარები სხვადასხვა რაკურსით შეფასდეს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით: სკოლის კურიკულუმი ორიენტირებულია მოსწავლეზე დაკვირვებასა და მისი საქმიანობის შეფასებაზე სხვადასხვა ასპექტში. სწავლა-სწავლების პროცესში დანერგილია დიფერენცირებული მიდგომები, რაც გულისხმობს მოსწავლეთა ინტერესებისა და შესაძლებლობების მაქსიმალურ გათვალისწინებას. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა სსსმ მოსწავლეებს, რომელთა შეფასებაც ხორციელდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმის (ისგ) შესაბამისად. შეფასების რუბრიკები მუდმივად მუშავდება ისე, რომ ისინი შეესაბამებოდეს სწავლების მრავალფეროვან მეთოდებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები: ობიექტური და ყოვლისმომცველი სურათის მისაღებად, სკოლა იყენებს მონაცემთა შეგროვების მრავალმხრივ ინსტრუმენტებს. ეს მოიცავს სისტემატურ დაკვირვებას, ტესტირებას, წერით და ზეპირ დავალებებს, პრაქტიკულ სამუშაოებსა და პროექტებს. მონაცემთა ანალიზისთვის ასევე გამოიყენება ელექტრონული ჟურნალის სტატისტიკა და სხვადასხვა სასკოლო დოკუმენტაციის სისტემური მიმოხილვა, რაც სასწავლო პროცესის დინამიკაზე დაკვირვების საშუალებას იძლევა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით: ორღულის საჯარო სკოლის შეფასების სისტემა სცდება მხოლოდ აკადემიურ მიღწევებს და ითვალისწინებს ისეთ მნიშვნელოვან ფაქტორებს, როგორიცაა მოსწავლის მოტივაცია, თანამშრომლობის უნარი, პირადი და სოციალური თავისებურებები. შეფასების პროცესში გამოვლენილი ინდივიდუალური

შესაძლებლობების საფუძველზე იგეგმება თითოეული მოსწავლის სამომავლო განვითარების გზები. ეს ჰოლისტური მიდგომა უზრუნველყოფს მოსწავლის პიროვნული და აკადემიური ზრდის მხარდაჭერას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სხვადასხვა ტიპის შეფასების რუბრიკები (პროექტის, პრეზენტაციის, დისკუსიის და სხვ.);
- ვერიფიკაციის დოკუმენტი და შეფასების ინსტრუმენტები (ჩაშენებული სასკოლო სასწავლო გეგმაში);
- 2025-2026 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა და საგნობრივი კურიკულუმები;
- შემაჯამებელი და დიაგნოსტიკური წერების ანალიზის ფორმები;
- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია და შესაბამისი ბრძანება;
- საგნობრივი კათედრების ოქმები მონიტორინგისა და შეფასების შესახებ;
- სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი;
- ხარისხის ჯგუფისა და კათედრების დებულებები.
-

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.4. კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1. წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის საწიროების კვლევებზე დაკვირვების შედეგად იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი: ორღულის საჯარო სკოლაში კურიკულუმის განვითარება განიხილება როგორც

სასკოლო საზოგადოების ერთიანი გუნდური მუშაობის შედეგი. პროცესს ზედამხედველობას უწევს დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული მონიტორინგის ჯგუფი, რომელიც აკვირდება სამოქმედო გეგმის შესრულებას. სასწავლო წლის ბოლოს, თითოეული საგნის მასწავლებელი ამზადებს კურიკულუმის რევიზიას, რაც საფუძვლად ედება მომდევნო წლის დაგეგმარებას. კათედრები ერთობლივად აანალიზებენ მიღწეულ შედეგებს და პედაგოგიურ საბჭოს წარუდგენენ „მხარდაჭერის საჭიროებათა რეკომენდაციებს“. ეს დოკუმენტი მოიცავს კონკრეტულ რეკომენდაციებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად და საჭირო რესურსების მობილიზებისთვის. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს: კურიკულუმის ყოველი ახალი ვერსია წინარე გამოცდილების კრიტიკული ანალიზის შედეგია. სკოლა იყენებს მრავალმხრივ უკუკავშირს, მათ შორის „კრიტიკული მეგობრის“ ინსტრუმენტს, რაც საშუალებას გვაძლევს გამოვავლინოთ პრაქტიკაში არსებული ხარვეზები. პედაგოგიურ საბჭოზე წარმოდგენილი ანგარიშებისა და მონიტორინგის ჯგუფის დასკვნების საფუძველზე, ხდება კურიკულუმების რევიზია. მასწავლებლები კათედრებზე რეგულარულად მსჯელობენ პრობლემების გადაჭრის გზებზე და მოსწავლეთა ნაშრომების ანალიზის საფუძველზე ახდენენ შინაარსობრივ ცვლილებებს. ეს პროცესი უზრუნველყოფს, რომ გადამუშავებული კურიკულუმი იყოს რეალისტური, დინამიკური და სრულად მორგებული მოსწავლეთა პროგრესზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმვის მონიტორინგის და შეფასების ჯგუფის დასკვნა და დოკუმენტაცია;
2. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების კვლევის კითხვარები;
3. ბრძანება სკოლის ხარისხის განვითარებისა და მასწავლებელთა მხარდაჭერის ჯგუფის დაკომპლექტების შესახებ;
4. კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია (ოქმი და ბრძანება);
5. დაწყებითი საფეხურის გადამუშავებული საგნობრივი კურიკულუმები;
6. ბრძანება სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების ჯგუფის დამტკიცების შესახებ;
7. საგნობრივი კათედრების (მათემატიკის, სახელმწიფო ენის, უცხო ენების, საბუნებისმეტყველო, საზოგადოებრივი მეცნიერებების, ესთეტიკის) ოქმები;
8. მასწავლებელთა ინდივიდუალურად სასწავლო პროცესზე დაკვირვების დოკუმენტები და რეფლექსიები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*

- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

.....

.....

.....

.....

თარიღი 13.05. 2026



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ნანა კაცაძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ლელა მანგოშვილი

ქრისტინე ძიძიგური

ნანა ავაზაშვილი

ნონა ხომასურიძე

ვალერიანე ვოლჩანსკი

ნანა ჩხიკვაძე

ნანა ყანჩაშვილი

თეოდორა ლემონჯავა

ნონა გორგილაძე

დომინიკა აბაშიძე